პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
შაბათი, 18 ივლისი, 1944 წ. № 145 (7088). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის, გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვს. (1-ლი გვერდი).
მოსკოვი, კრემლი. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ სტალინს. (1-ლი გვერდი).
დონბასი, სტალინო. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, ამხანაგებს ანდრეევს, ლებედევს, ბარანოვს, ვანსიატსკის, კირიუშინს. (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 16 და 17 ივლისის ოპერატიული ცნობები. (1-ლი გვერდი).
შეტევის გზაზე. (მე-2 გვერდი).
გავაძლიეროთ ბოლშევიკური პროპაგანდა და აგიტაცია. რესპუბლიკური თათბირი პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე. (მე-2 გვერდი).
საბჭოთა კავშირის გმირი გ. გოცირიძე. (მე-3 გვერდი).
საუკეთესოდ მოვაწყოთ ციტრუსების მჭნობა. (მე-3 გვერდი).
უკეთ ვიმუშაოთ ივლისში. (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო მიმოხილვა. (მე-3 გვერდი).
ფიზკულტურელთა საკავშირო დღე თბილისში. (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები: დეპეშები. (მე-4 გვერდი).

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის
გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვს

ბელორუსიის მე-3 და ბელორუსიის მე-2 ფრონტების ჯარებმა, თავიანთი შენაერთების უნარიანი თანამოქმედებით, დღეს, 16 ივლისს, იერიშით დაიკავეს ქალაქი და ციხე-სიმაგრე **გროდნო**—დიდი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი გამაგრებული რაიონი, რომელიც იფარავდა აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრების მისადგომებს.

გროდნოს დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ოსლიკოვსკის**, გენერალ-მაიორ **ჩეპურკინის**, გენერალ-მაიორ **ბრიკელის**, გენერალ-მაიორ **კალიუჟნის** კავალერისტებმა; გენერალ-პოლკოვნიკ **გლაგოლევის**, გენერალ-პოლკოვნიკ **ბოლდინის**, გენერალ-მაიორ **პროვალოვის**, გენერალ-მაიორ **ზახაროვის**, გენერალ-მაიორ **მულტანის**, გენერალ-მაიორ **პოლევიკის**, გენერალ-მაიორ **სტრიჟენკოს**, გენერალ-მაიორ **სლიცის**, პოლკოვნიკ **დემინის**, პოლკოვნიკ **შჩენიკოვის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **სემინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ვასილიევის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ნეფედოვის**, პოლკოვნიკ **მუზიჩენკოს**, პოლკოვნიკ **ფედოტოვის**, პოლკოვნიკ **უვაროვის**, პოლკოვნიკ **ჩერკასოვის**, პოდპოლკოვნიკ **ვიბოროვის**, პოდპოლკოვნიკ **კოზინის**, პოდპოლკოვნიკ **მაიოროვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ნეცვეტაილოს**, პოლკოვნიკ **შმიროვის**, პოდპოლკოვნიკ **კარპოვის**, პოდპოლკოვნიკ **ხუხრინის**, პოლკოვნიკ **ლევეჩას**, მაიორ **გაიდაენკოს** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ბელეცკის**, პოლკოვნიკ **ვუსის**, პოლკოვნიკ **ჩუჩევის**, პოლკოვნიკ **პრუტკოვის**, პოლკოვნიკ **ზიმინის**, პოდპოლკოვნიკ **პილშჩიკოვის**, პოდპოლკოვნიკ **გორშუნოვის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **მარინის**, პოლკოვნიკ **მელნიკოვის**, პოლკოვნიკ **პრონევიჩის**, მაიორ **სოლიანკინის** მესანგრეებმა და პოლკოვნიკ **ბელიშევის**, პოდპოლკოვნიკ **ფედოროვის**, პოდპოლკოვნიკ **მარკოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი **გროდნოს** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**გროდნოს**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 16 ივლისს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **ბელორუსიის** მე-3 და **ბელორუსიის** მე-2 ფრონტების მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს **გროდნო**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ **გროდნოს** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1944 წლის 16 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ სტალინს

ძვირფასო, საყვარელო ამხანაგო სტალინ!

სტალინოს მეტალურგიული ქარხნის მშრომელთა კოლექტივი, აღფრთოვანებული ჩვენი მამაცი წითელი არმიის გმირული წარმატებებით, მოხარულია გაცნობოს თქვენ მის მიერ მოპოვებული ახალი საწარმოო გამარჯვების შესახებ: 4 ივლისს გაჩაღდა, ხოლო 5 ივლისს პირველი თუჯი გამოუშვა № 3 აღდგენილმა ბრძმედმა, რომელიც ყველაზე დიდი ბრძმედია ქარხანაში.

რამდენიმე დღის წინათ, ივნისის დამლევს, ჩვენ დავამთავრეთ აღდგენა და ავამუშავეთ № 3 მარტენის დიდი ღუმელი და 5 ათასი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგური.

ამრიგად, ქარხანაში, რომელიც სრულიად დანგრეული იყო გერმანელი დამპყრობლების მიერ, დონბასის განთავისუფლებიდან 10 თვის განმავლობაში ჩვენ აღვადგინეთ და ავამუშავეთ: ორი ბრძმედი, ორი მარტენის ღუმელი, საგლინავი დაზგა და ელექტროსადგური, ნაწილობრივ აღდგენილია და მუშაობს აგრეთვე დამხმარე საამქროები: სამსხმელო, მექანიკური, ცეცხლგამძლეთა, საურნალე, საქვაბო-სამონტაჟო და სატრანსპორტო.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები ფაშისტური მონობისაგან თავიანთი განთავისუფლებისათვის ჩვენი დიდი და ბრძენი ბელადისადმი და ჩვენი მამაცი წითელი არმიისადმი მადლობის ნიშნად, პირობას იძლევიან, რომ შემდგომშიც ყოველ ძალ-ღონეს იხმარენ, რათა თავდადებული შრომით უაღრესად მოკლე ვადაში აღადგინონ ქარხნის ძირითადი აგრეგატები და ამით დაეხმარონ წითელ არმიას ბოლო მოუღოს ფაშისტ მხეცს მის საკუთარ ბუნაგში.

სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი **ანდრეევი**.
უკრაინის კ. პ. (ბ) სტალინოზავოდსკის რაიკომის მდივანი **ლებედევი**.
მთავარი ინჟინერი **ბარანოვი**.
საკავშირო კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი **ვანსიატსკი**.
ქარხკომის თავმჯდომარე **კირიუშინი**.

დონბასი, სტალინო

სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა ამხანაგებს ანდრეევს, ლებედევს, ბარანოვს, ვანსიატსკის, კირიუშინს

ვულოცავ სტალინოს მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს მეორე ბრძმედის, ელექტროსადგურისა და მეორე მარტენის ღუმელის მოკლე ვადაში წარმატებით აღდგენასა და ამუშავებას.

გასურვებთ შემდგომს წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

ი. სტალინი

კოლმეურნეთა საჩუქარი მარშალ კონევს

კიროვი, (საკდესი). კიროვის ოლქის პოდოსინოვკის რაიონი საბჭოთა კავშირის მარშალ ივანე სტეფანეს-ძე კონევის სამშობლოა. რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს თავიანთ თანამემამულეს უძღვნან საჩუქარი — პირადი სახსრებით ააგონ სატანკო კოლონა „პოდოსინოვკელი კოლმეურნე“ იმ ფრონტისათვის, რომელსაც მარშალი კონევი სარდლობს. სახელმწიფო ბანკის რაიონულ განყოფილებაში უკვე შეტანილია 410 ათასი მანეთი ნაღდად და სახელმწიფო სესხების 458 ათასი მანეთის ობლიგაციები. მარტო სასოფლო-სამეურნეო არტელ „სტრელას“ კოლმეურნეებმა 130 ათასი მანეთი შეიტანეს.

საზაფხულო პროფკავშირულ-კომკავშირული კროსის შედეგები

ცენტრალურმა საორგანიზაციო კომიტეტმა შეაჯამა საზაფხულო პროფკავშირულ-კომკავშირული კროსის შედეგები. შეჯიბრებაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მიმდინარეობდა 28 მაისიდან 11 ივნისამდე, მონაწილეობა მიიღო 7.658.656 კაცმა, ამათგან იმათ, ვინც პირველი და მეორე საფეხურის კომპლექსის ნორმები ჩააბარა 6.521.014 კაცმა.

შეჯიბრებაში კარგ შედეგებს მიაღწიეს მოსკოვის, ლენინგრადის, ომსკის, სმოლენსკის, ხაბაროვსკის, ტულის, უდმურტეთის, კრასნოიარსკის, აზერბაიჯანის, იაროსლავლის, კიროვისა და სხვა ორგანიზაციებმა.

სასპორტო საზოგადოებებიდან საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ „ლოკომოტივ ვოსტოკას“, „კრასნოე ზნამიას“, „ზენიტს“, „კრილია სოვეტოვს“. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

16 ივლისის ოპერატიული ცნობა

16 ივლისის განმავლობაში ქალაქ **ოპოჩკის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დასახლებული პუნქტები **პოტაშევო, ბარსანოვო, ტობოლინო, მაკუშინო, ბერეზავეცი, მოზული, მიროედი, კამენკა, ჟარკოვო, კუზნეცოვკა, კოსტროვო, კრასოვო** და რკინიგზის სადგური **კუზნეცოვკა**.

ქალაქ **ვილნიუსის** დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **პოშული, ბორტკუნი, კრონი, კოვალი, უჟუგოსტი, სტოკლიშკი, დორსუნიშკი, ეზნო, ბირშტანი** და რკინიგზის სადგური **პაგირისი**.

ქალაქ **ალიტუსის** დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით ბრძოლებს პლაცდარმების გასაფართოებლად მდინარე **ნემანის** დასავლეთ ნაპირზე, ამასთან დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

ბელორუსიის მე-3 და **ბელორუსიის** მე-2 ფრონტების ჯარებმა 16 ივლისს, სამი დღის ბრძოლების შემდეგ, იერიშით დაიკავეს დიდი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი გამაგრებული რაიონი—ქალაქი და ციხე-სიმაგრე **გროდნო**.

ქალაქ ვოლკოვისკის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **კომოტოვო, დუბროვლიანი, ჟილიჩი, სტრუგა, ნოვოსადი, დულოვცი, შევკი, შანდრი, გნეზნო, მსტიბოვო**.

ქალაქ **სლონიმის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს ბრესტის ოლქის რაიონული ცენტრი **ბერეზა-კარტუზსკაია**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **გოლოგული, იუშკევიჩი, გორკი, გალენი, როვბიცკი, მურავა, კუპიჩი, სტაროვოლია, ბორტნოვიჩი, სელეცი, კაბაკი, სეგნევიჩი, მოშკოვიჩი** და რკინიგზის სადგური **ბერეზა-კარტუზსკაია**.

ქალაქ **პინსკის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებდნენ, დაიკავეს პინსკის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **იანოვი, ტელეხანი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ტიშკოვიჩი, მოტოლი, ოპოლი, კალიტი, ტრილისკი, ლესკოვიჩი, რუდსკი, ფრანოპოლი** და რკინიგზის სადგურები **იუხნოვიჩი, იანოვი**.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

15 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 144 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 66 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა რკინიგზის კვანძები ბრესტი და კრუსტპილსი, რკინიგზის სადგურები ვლოდავა და დროგიჩინი

15 ივლისს ღამით ჩვენმა ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოახდინა რკინიგზის კვანძებზე ბრესტსა და კრუსტპილსზე. დაბომბილ იქნა გერმანელთა თავმოყრილი სამხედრო ეშელონები და სამხედრო საწყობები.

რკინიგზის კვანძ ბრესტში დაბომბვის შედეგად ათობით ხანძარი გაჩნდა. კვანძის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი ცეცხლში იყო. იწვოდა ეშელონები საომარ მასალიანად და სამხედრო ტექნიკიანად. ხანძრებს თან ახლდა აფეთქებანი, რაც ერთმანეთს მოჰყვებოდა. შემჩნეულია დიდი ძალის ხუთი აფეთქება. კვანძის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აფეთქებულია დიდი საწყობები საწვავიანად.

რკინიგზის კვანძ კრუსტპილსში ბომბების პირდაპირი მოხვედრებით დამსხვრეულია რამდენიმე ეშელონი. გაჩნდა ხანძრები, განსაკუთრებით დიდი ხანძრები რკინიგზის კვანძის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. დიდი ხანძარი, რასაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი, გაჩნდა აგრეთვე მოწინააღმდეგის სამხედრო საწყობების რაიონში.

იმავე ღამეს ჩვენმა ავიაციამ დაბომბა გერმანელთა სამხედრო ეშელონები რკინიგზის სადგურ ვლოდავასა (ქალ. ბრესტის სამხრეთით) და დროგიჩინში (ქალ. პინსკის დასავლეთით).

17 ივლისის ოპერატიული ცნობა

ქალაქ **ოპოჩკის** დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს კალინინის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **სებეჟი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბერეზნიცა, ბრინიოვკა, ვიარმოვო, პეტრუჩენკი, სტოლბოვა, ბორისენკი, მიგელი, ლოგუნი, დვორიშჩე, გავრილინი** და რკინიგზის სადგური **სებეჟი**.

ქალაქ **დრისის** ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ვიტებსკის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **ოსვეია**, აგრეთვე 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის **სვიატიცა, პადერი, დედინო, გორბული**.

ქალაქ **ალიტუსის** ჩრდილოეთითა და სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს განაგრძობდნენ პლაცდარმების გასაფართოებლად მდინარე **ნემანის** დასავლეთ ნაპირზე, ამასთან დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

ქალაქ **ვოლკოვისკის** ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას ავითარებენ და დაიკავეს ბელოსტოკის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **სვისლოჩი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ლაშა, პროკოპოვიჩი, მასალიანი, ეიმინოვცი, ველიკაია ბერესტოვიცა, კუკოლკი** და რკინიგზის სადგურები **ანდრეევიჩი, რუდოვკა, სვისლოჩი**.

ბრესტის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს ბრესტის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **პრუჟანი, შერეშოვი**, პინსკის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **დროგიჩინი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბელოვეჟა, ვიდომლია, შჩერბოვო, შჩერჩევო, ლინოვო, მალეჩი, ვოროტნო, ილოსკი, ძვიატკოვიჩი, ლოსნიცა სემენოვშჩიზნა, პოპინა, კუბლიკი** და რკინიგზის სადგურები **პრუჟანი, პავლოვიჩი, ორანჩიცი, სნიტოვო, დროგიჩინი**.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

16 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 100 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 94 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ოპოჩკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. გერმანელები ეყრდნობოდნენ ფართოდ განვითარებულ თავდაცვის ხაზს, რომელიც იფარავდა ქალაქ სებეჟის მისადგომებს, და შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდნენ. საბჭოთა ჯარებმა მოქანცეს მოწინააღმდეგე, გაანადგურეს მისი ცოცხალი ძალა და ტექნიკა. შემდეგ ჩვენმა ქვეითებმა და ტანკისტებმა ძლიერ დაარტყეს მტერს, გასტეხეს მისი თავდაცვა და სებეჟის აღმოსავლეთ გარეუბნებში შეიჭრნენ. ამასობაში სხვა ჩვენმა ნაწილებმა განდევნეს გერმანელები სებეჟსკოეს, პეჩერიცის, ლისნოს ტბებთან არსებულ თავდაცვის ზღუდეებიდან და გავიდნენ ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში. გააფთრებული ბრძოლების მსვლელობაში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის თავდაცვის სებეჟის კვანძი და გასწმინდეს ქალაქი სებეჟი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. სებეჟისათვის ბრძოლებში განადგურებულ იქნენ გერმანელთა 329-ე და 263-ე ქვეითი დივიზიები. ტყვედ წამოყვანილია ორი ათასზე მეტი გერმანელი. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა.

* * *

ქალაქ ალიტუსის ჩრდილოეთით და სამხრეთით მოწინააღმდეგეს კონტრიერიშები მოჰქონდა და ცდილობდა მდინარე ნემანს გამოღმა გამოერეკა ჩვენი ჯარები. საბჭოთა მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში, წინ წაიწიეს და დაიკავეს 20 დასახლებული პუნქტი. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოსდის. ჩვენმა ნაწილებმა მარტო ერთ უბანზე გაჟლიტეს 800 ჰიტლერელი, დასწვეს და დააზიანეს 9 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ბელორუსიის მე-3 და ბელორუსიის მე-2 ფრონტების ჯარებმა, რომლებმაც ქალაქი გროდნო დაიკავეს, ხელთ იგდეს დიდძალი დავლა. გერმანელებს წაართვეს საწყობები საომარ მასალიანად, სათადარიგო ნაწილებიანად, სურსათიანად და სამხედრო ქონებიანად. დავლაშია დიდძალი ორთქლმავალი, ვაგონები სხვადასხვა ტვირთიანად, პლატფორმები ტანკებიანად და ავტომანქანებიანად.

* * *

ქალაქ ვოლკოვისკის დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილები ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ, რომელიც შეუპოვრად იცავდა თავს. დღის ბოლოს საბჭოთა მებრძოლებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა, სწრაფად წაიწიეს წინ და დაიკავეს ქალაქი სვისლოჩი. გაჟლეტილია მტრის ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპობილია გერმანელთა 6 ტანკი და 24 ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ 11 ქვემეხი და 48 ტყვიამფრქვევი. წამოყვანილია 200-მდე ტყვე.

* * *

ბრესტის მიმართულებით ჩვენი ნაწილები შეტევას განაგრძობდნენ. გააფთრებული ბრძოლები მოხდა ქალაქ პრუჟანის — გზატკეცილებისა და ყამირგზების დიდმნიშვნელოვანი კვანძის რაიონში. მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავდა ქალაქის მისადგომებს და ხშირად მოჰქონდა კონტრიერიში. ჩვენმა სატანკო და საკავალერიო ნაწილებმა სწრაფი შემოვლითი მანევრი მოახდინეს და გადასჭრეს პრუჟანიდან დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მიმავალი ყველა გზა. ქალაქის რაიონში გარშემორტყმულმა გერმანელებმა სასოწარკვეთილებით სცადეს გაჭრილიყვნენ სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მაგრამ განადგურებულ იქნენ. ჩვენმა ჯარებმა მოსპეს ორი პოლკი მტრის ქვეითი ჯარი. საბჭოთა ნაწილებმა, რომელნიც წარმატებას ავითარებდნენ, დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ბომბდამშენთა ჯგუფებმა გვარდიის პოდპოლკოვნიკ რაკოვის და მაიორ პონომარენკოს მეთაურობით იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის გემებზე კოტკის ნავსადგურში. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია ფინეთის ჯავშნოსანი „ვიაინიამეინენი“ 3.900 ტონა წყალწყვისა. ფინეთის სამხედრო ფლოტში იყო ორი ჯავშნოსანი. ერთ მათგანზე — ჯავშნოსან „ილმარინენზე“ იერიში მიიტანეს ჩვენმა ხომალდებმა 1941 წლის სექტემბერში ფინეთის ყურეში და იგი აფეთქდა ნაღმებზე. ახლა ჩაძირულ იქნა ფინელთა მეორე და უკანასკნელი დიდი სამხედრო ხომალდი. ჯავშნოსანი „ვიაინიამეინენი“ შეიარაღებული იყო ოთხი 254 მილიმეტრიანი ქვემეხით, რვა 105 მილიმეტრიანი, ოთხი 40 მილიმეტრიანი და ორი 20 მილიმეტრიანი საზენიტო ქვემეხით. ჯავშნოსანი მწყობრში ჩადგა 1933 წელს.

გარდა ამისა, თვითმფრინავმა კაპიტან ტიხომიროვის მეთაურობით კოტკის ნავსადგურში ჩასძირა მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 6 ათასი ტონა წყალწყვისა.

* * *

ბრესტის პარტიზანულმა რაზმებმა ერთი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 50-ზე მეტი სამხედრო ეშელონი. საბჭოთა პატრიოტებმა მოსპეს ასობით ვაგონი და პლატფორმა მოწინააღმდეგის ჯარებიანად, საჭურველიანად და საომარი მასალიანად. ალექსანდრე ნეველის სახელობის რაზმის პარტიზანები თავს დაესხნენ გერმანელთა უკანდახეულ ავტოკოლონას და გაჟლიტეს მტრის 120 ჯარისკაცი და ოფიცერი. გერმანელებს წაართვეს 100 ავტომანქანა, 200 შაშხანა და დიდძალი საომარი მასალა.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. გ. ი. კიკნაძის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ამხ. გიორგი ივანეს-ძე კიკნაძე საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1944 წ. 17 ივლისი, ქ. თბილისი.

ს. კ. კარაპეტიანი—სომხეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი

ერევანი, 16 ივლისი (საკდესი). სომხეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სააკ კარაპეტის-ძე კარაპეტიანი დაინიშნა სომხეთის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად.

პროფკავშირების ზრუნვა დედისა და ბავშვისათვის

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით წელს გათვალისწინებულია 433,5 მილიონი მანეთის გაცემა ორსული ქალების, დედებისა და ბავშვებისათვის დახმარების გასაწევად.

ერთნახევარჯერ და კიდევ მეტად დიდდება ხარჯები ორსულობისა და მშობიარობისათვის დახმარების გასაცემად. თითქმის ერთიოთხად გადიდდა ახალშობილთა მოვლის საგნებისათვის და ორნახევარჯერ გადიდდა ბავშვის კვებისათვის გასაცემი დახმარების თანხა.

პროფკავშირები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ბავშვთა სკოლისგარეშე აღზრდას. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 30 მილიონი მანეთი — შარშანდელზე ხუთჯერ მეტი — საბავშვო კლუბებისათვის, ტექნიკური სადგურებისათვის, მოედნებისათვის, ბავშვთა შემოქმედების გამოფენების მოწყობისათვის. ფრონტელთა და სამამულო ომის ინვალიდთა ბავშვებისათვის დახმარების გასაწევად წელს გათვალისწინებულია 60 მილიონი მანეთი.

ამჟამად პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო აწყობს დასასვენებელ სახლებს ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისათვის. დასასვენებელი სახლები იხსნება მოსკოვში, ლენინგრადში, ივანოვოში, ურალში და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებში.

მინსკის მშრომელთა მიტინგი

16 ივლისს შესდგა მინსკის მშრომელთა და მინსკის ოლქის პარტიზანთა მიტინგი. საბჭოთა ბელორუსიის დედაქალაქის განთავისუფლების აღსანიშნავად მოწყობილ ზეიმზე შეიკრიბა მინსკის 50 ათასი მშრომელი და 30 ათასზე მეტი პარტიზანი.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვეს ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. პონომარენკომ, პარტიის მინსკის არალეგალური საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ბელსკიმ და სხვებმა, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს წითელ არმიას და მის უმაღლეს მთავარსარდალს ამხანაგ სტალინს გერმანელ დამპყრობთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის.

მიტინგზე შეკრებილებმა განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღეს წერილი ამხანაგ სტალინისადმი და მისალმება ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი.

მიტინგის შემდეგ გაიმართა პარტიზანული შენაერთების პარადი. (საკდესი).

სასპორტო დღესასწაული მოსკოვში

ფიზკულტურელის სრულიად-საკავშირო დღის აღსანიშნავად მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა დიდი სასპორტო-გიმნასტიკური დღესასწაული. ათეულათასობით მოსკოველი შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს უაღრესად საინტერესო შეჯიბრებას სარბენ ბილიკებზე და მწვანე მინდორზე.

წითელი არმიის, პროფკავშირთა, საშუალო სკოლებისა და სასპორტო საზოგადოებათა ფიზკულტურელების 20 კოლონა თავიანთი მრავალფეროვანი დროშებით ჩამწკრივდნენ პარადისათვის. მათ მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. სვირიდოვმა. მან ჯანმრთელობა უსურვა წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარს ამხანაგ სტალინს, რის პასუხად მთელ სტადიონს მოედო ათასხმოვანი „ურა“.

სასპორტო-გიმნასტიკური დღესასწაული წარმოადგენდა საბჭოთა ახალგაზრდობის ძალღონის, სიმარდისა და გამოწრთობის საუცხოო დათვალიერებას. მძლეოსანთა გამოსვლები აღინიშნა სრულიად-საკავშირო ახალი ექვსი რეკორდით.

დასასრულ გაიმართა ფეხბურთის მატჩი ჩვენი ქვეყნის უძლიერეს გუნდებს — „დინამოსა“ (თბილისი) და „ტორპედოს“ (მოსკოვი) შორის (საკდესი).

საბჭოთა ესტრადის დათვალიერება

17 ივლისს მოსკოვში დაიწყო საბჭოთა ესტრადის არტისტების იმ საუკეთესო ნამუშევართა შემოქმედებითი დათვალიერება, რომლებიც შექმნილია სამამულო ომის დროს. დათვალიერებაში მონაწილეობას იღებენ მოსკოვის, ლენინგრადის, ამიერ-კავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ოლქებისა და მხარეების საესტრადო ხელოვნების ოსტატები. გამოსვლათა პროგრამებში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებენ ფრონტული ბრიგადების ესტრადის მსახიობები.

დათვალიერებაში მონაწილეობს აგრეთვე საბავშვო ესტრადა. ნაჩვენები იქნება ორი პროგრამა—უმცროსი და საშუალო ასაკის ბავშვებისათვის (საკდესი).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება დიდ თეატრში

15 ივლისს მოსკოვში, დიდ თეატრში, შესდგა ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

დარბაზში არიან დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელნი—მწერლები, მსახიობები, მეცნიერები, სტახანოველები, წითელი არმიის მებრძოლები და ოფიცრები. ცოცხალი ყვავილებით მორთულ ვერცხლისფერ ჩარჩოში მოთავსებულია პორტრეტი მწერლისა, ვისი შემოქმედებაც საყვარელია მთელი საბჭოთა ხალხისათვის.

საზეიმო კრება გახსნა ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავის მომწყობი საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. პ. პოტიომკინმა. მან ილაპარაკა იმ მწერლის ოცნებაზე, რომელიც მთელი ძალღონით მიისწრაფვოდა სამართლიანობასა, სიმართლესა და სულის სიმშვენიერეზე დამყარებული ცხოვრებისაკენ.

ამ სიმართლისაკენ მოუწოდებდა იგი ხალხს თავისი ნიჭიერი ნაწარმოებებით, ამ სიმართლეს წინასწარ სჭვრეტდა იგი ჭეშმარიტი მხატვრის ალღოთი. მწერლის ოცნება სინამდვილედ იქცა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა ჩვენი ცხოვრების კანონი გახდა შემოქმედებითი და ქვეყნის გარდამქმნელი შრომა, ურომლისოდაც ჩეხოვის განმარტებით, არსებობა წარმოუდგენელია.

— ორმოცმა წელმა განვლო ჩეხოვის გარდაცვალების შემდეგ, — ამბობს ამხ. პოტიომკინი.—ჩვენი სამშობლო დიდების მწვერვალზე ავიდა. მისკენ არის მოპყრობილი მთელი კაცობრიობის თვალი. რუსეთის ხალხებსა და მეომრებს მიაქვთ მსოფლიოსათვის განთავისუფლება და გამარჯვება კულტურის, პროგრესისა და ცივილიზაციის უბოროტეს მტრებზე. ჩეხოვი ბედნიერი იქნებოდა, თავისი იდეალების განხორციელება რომ დაენახა. იგი იამაყებდა იმ შეგნებით, რომ მისმა მშობლიურმა რუსეთმა, რომელმაც ახალი სამყარო შექმნა, გამარჯვებათა უკვდავი დიდება მოიხვეჭა წმიდათაწმიდა სამამულო ომში.

მოხსენება ჩეხოვის შემოქმედების შესახებ, მშობლიურსა და მსოფლიო ლიტერატურაზე მისი გავლენის შესახებ გააკეთა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ტიხონოვმა.

სამხატვრო თეატრის ისტორიასა და ამ თეატრის მთელ შემოქმედებით ცხოვრებაში ჩეხოვის უდიდესი როლის შესახებ ილაპარაკა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. მ. მოსკვინმა.

მკაფიო სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა ლ. ლეონოვმა.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტ ო. ლ. კნიპერ-ჩეხოვას გამოჩენას ტრიბუნაზე. მან თავისი მგზნებარე სიტყვა დაიწყო იმ დღის მოგონებით, როცა მოსკოვზე გერმანელთა შემოტევის მრისხანე ჟამს ამხანაგმა სტალინმა ჩეხოვის სახელი მოიხსენია რუსი ადამიანისათვის ყველაზე ძვირფას სახელთა შორის, რომლებიც ერის დიდების, ძალისა და სიამაყის სიმბოლოს წარმოადგენენ.

— ჩეხოვი მთელი არსებით ესწრაფვოდა მშობლიური ქვეყნის განახლებასა და ბედნიერებას,—ამბობს განსვენებული მწერლის მეუღლე.—ამას იგი მტკიცედ და გატაცებით სწერდა თავის წიგნებში. ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია ჩეხოვის ოცნებები. ის გარემოება, რომ ჩვენი ხალხი სასტიკი ბრძოლების მრისხანე ჟამს ასე ფართოდ და ასეთი სიყვარულით აღნიშნავს ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავს, უმაღლესი ჯილდოა მწერლისათვის, რომელიც ხალხმა თავის ნაციონალურ მხატვრად აღიარა. ამისათვის მსურს მთელი არსებით გულითადი მადლობა მოვახსენო ხალხს, მთავრობას, პარტიას, მშობლიურ სტალინს! (საქდესი).

შეტევის გზაზე

მოქმედი არმია, 17 ივლისი (საქდესის სპეც. კორ.). ბელორუსიის მე-3 და მე-2 ფრონტების ჯარების შეტევა წარმატებით ვითარდება. ცხელი დღეები, რის გამოც მტვერის ღრუბლები იდგა ჩვენი ნაწილების გზებზე, წვიმიანმა ამინდებმა შეცვალეს. მაგრამ ჩვენი ქვეითები, რომლებმაც დაღლილობა არ იციან, იმავე ტემპით მიდიან წინ. ასევე მტკიცედ ერეკებიან მტერს ტანკისტებიც. მსროლელებთან ერთად წინ მიიწევენ არტილერისტები. ვერც ამინდი, ვერც დღეღამის დრო, ვერც დაღლილობა ვერ აჩერებს ჯარისკაცს. იგი ურტყამს, ერეკება მტერს. იგი დასავლეთისაკენ მიდის.

მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ მოისმინა ჩვენმა ქვეყანამ უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანება ლიდის აღების შესახებ, ხოლო დღეს ნაწილები, რომლებმაც ეს ქალაქი გაათავისუფლეს, შორს გასცილდნენ მას დასავლეთისაკენ. არა მარტო მოძრავი ნაწილები, არამედ ქვეითი ჯარიც უკვე მიადგა მდინარე ნემანს და გადალახა იგი. ჩვენმა საკავალერიო შენაერთებმა გაანადგურეს მტრის თავდაცვის დასაყრდენი პუნქტები, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შეიჭრნენ ქალაქ გროდნოში და გააჩაღეს ქუჩის ბრძოლები. მალე ქალაქს მიადგნენ წითელი არმიის ქვეითი, სატანკო და საარტილერიო ნაწილები. გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწეოდნენ, ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ შეენარჩუნებინათ ქალაქი. მათ ბრძოლაში გამოიყვანეს მესანგრე, მშენებელი, სამეურნეო და სანიტარული ქვედანაყოფები. გროდნოსათვის სამი დღის ბრძოლებში საბჭოთა ნაწილებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგის რამდენიმე შენაერთი. მოქანცეს მათი ძალები და გუშინ დილით დაიკავეს ქალაქი და სიმაგრე გროდნო, რკინიგზებისა და გზატკეცილების დიდი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი გამაგრებული რაიონი, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრების მისადგომებს იფარავს.

მინსკსა და ვილნიუსს შორის მდებარე მაგისტრალზე ტყვედ დაგვნებდა გერმანელი უნტერ-ოფიცერი ალფრედ გუტერტი. იგი ალყაში მოხვდა მინსკის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, მისი ნაწილი განადგურებულ იქნა. გუტერტმა მოახერხა გადარჩენილიყო ტყეში. იგი 8 დღეს მიდიოდა დასავლეთისაკენ კომპასით, ოცნებობდა თავისიანებამდე მიეღწია. მაგრამ ფრონტმა შორს გაიწია. გუტერტი მიხვდა, რომ მან თავი ვერ დააღწია ტყვეობას. ტყვის პირველი კითხვა იყო, სად არის ფრონტი? როცა ეს შეატყობინეს, მან წყნარად სთქვა

— ასე ჯერ არავის შეუტევია.

ჰიტლერული სარდლობა ყოველივე შესაძლებელს აკეთებს, რათა თავისი საქმეები გამოასწოროს, რათა შეაჩეროს, შებოჭოს საბჭოთა ნაწილები. ზურგში დაჩქარებით ადგენენ ახალ პოლკებს, დივიზიებს და ფრონტზე გზავნიან.

მთელ რიგ უბნებზე გერმანელები კონტრიერიშებზე გადმოდიან. მათ ბრძოლაში გამოჰყავთ ქვეითი ჯარი, ათობით ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა ერთ დასახლებულ პუნქტთან კაუნასის აღმოსავლეთით. აქ მოწინააღმდეგეს მეტად ხელსაყრელი თავდაცვითი ზღუდეები აქვს, მათ მისადგომებს იფარავს ტყის მასივი, ჭაობიანი ადგილები. მტერი ცდილობდა გამოეყენებინა ეგრეთწოდებული მოძრავი თავდაცვა. უკანდახევისას გერმანელები მიზნად ისახავდნენ მოექანცათ ჩვენი ნაწილები წინაველში, შემდეგ კი შეეჩერებინათ და დაერტყათ ძირითად თავდაცვითს ზღუდეზე. მაგრამ ეს განზრახვა ჩაფუშულ იქნა ჩვენი ქვეითების სწრაფი მანევრით. ქვეითებმა ტყეს შემოუარეს, დასაყრდენი პუნქტის ფლანგზე გავიდნენ და თვითონ დაარტყეს მძლავრად მტერს.

ჩვენი ნაწილები სძლევენ მტრის წინააღმდეგობას, ანადგურებენ მის რეზერვებს და ავითარებენ შეტევას.

ევგ. რატნერი

საბჭოთა ქალისადმი მიძღვნილი სასოფლო კინოფესტივალი

კინოფიკაციის ივანოვოს ოლქის სამმართველო ემზადება უახლოეს ხანში საბჭოთა ქალისადმი მიძღვნილი სასოფლო კინოფესტივალის ჩასატარებლად.

ფესტივალის დღეებში დამატებით იმუშავებს 54 მოძრავი კინო.

ფესტივალის დროს ნაჩვენები იქნება ფილმები „ცისარტყელა", „ის იცავს სამშობლოს", „სამშობლოსათვის", „უკრაინის ველებზე", „მაშენკა" და სხვ.

აგიტბრიგადები ახსნა-განმარტებას ჩაატარებენ დედებისა და ბავშვებისადმი დახმარების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ირგვლივ. (საქდესი).

ორიოლის მცხოვრებლები აღადგენენ თავიანთ ქალაქს

5 აგვისტოს სრულდება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ორიოლის განთავისუფლების წლისთავი. ქალაქის მცხოვრებნი ემზადებიან, რათა ღირსეულად აღნიშნონ ეს შესანიშნავი თარიღი.

მუშაობის შემდეგ ყოველდღე 3.000-ზე მეტი მცხოვრები გამოდის ქალაქის აღდგენაზე სამუშაოდ. მათ სავსებით აღადგინეს საფეიქრო მანქანათმშენებლობის ქარხნის, „გლავპიშჩემაშის" ქარხნის და მოტოსარემონტო ქარხნის რამდენიმე საამქრო. მოყვანილია წესრიგზე ტანკისტების პარკი, მთავრდება პარკის კეთილმოწყობა ოკის ნაპირზე—ქალაქის მცხოვრებთა საყვარელ დასასვენებელ ადგილზე. ქუჩებში და მოედნებზე დარგულია 12 ათასი ძირი დეკორაციული ხე, ბევრი ყვავილი. ცენტრალური მაგისტრალი—ლენინის სახელობის ქუჩა მოასფალტებულია. შეკეთებულია წყალსადენის ქსელი. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის საღამოს ცნობა

ლონდონი, 17 ივლისი (საქდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 17 ივლისის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ მიახლებას და მტრის თავდაცვაში შეაღწიეს უმნიშვნელო სიღრმეზე. რამდენიმე პატრულმა გადალახა მდინარე ე-ს წყლით მოცული ჭაობი ლესეს ახლოს. მოკავშირეთა ჯარები ემუქრებიან პერიე-სენ-ლოს გვერდის გზატკეცილს ლე-მენილ-ბიგოს მიდამოებში. ჩვენ დავიკავეთ რემინი-სიურ-ლოზონი. ჩვენი პატრულები იმყოფებიან ევრესის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, თუმცა ქალაქი დაკავებული არა გვაქვს.

მოკავშირეთა ავიაციამ მთელი რიგი თავდასხმები მოახდინა მტრის სარკინიგზო ობიექტებზე.

ფრანგმა პატრიოტებმა გაათავისუფლეს ქალაქი სენ-ჟიუნიენი

ჟენევა, 17 ივლისი (საქდესი). ამ დღეებში ფრანგმა პატრიოტებმა გერმანელი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს ქალაქი სენ-ჟიუნიენი. პარტიზანების სიგნალით ქალაქის მცხოვრებნი თავს დაესხნენ გერმანელთა გარნიზონს და ვიშის პოლიციას. თითქმის ყველა ოკუპანტი და მათი დამქაშები მოსპობილ იქნენ. პარტიზანებმა ხელთ იგდეს გერმანელთა მთელი საწყობი და მათ მიერ ნაძარცვი ქონება და პროდუქტები. ქალაქში აირჩიეს რესპუბლიკური მუნიციპალიტეტი.

იზერის დეპარტამენტში ფრანგმა პატრიოტებმა მოსპეს სამხედრო-საპოლიციო სკოლის 50-ზე მეტი მსმენელი. პოლიციის მისვლამდე პარტიზანებმა მოასწრეს მიმალვა ისე, რომ არავითარი ზარალი არ მოსვლიათ.

ლიონის მახლობლად თავისუფალ მსროლელთა რაზმმა მარჯვედ ნატყორცნი გრანატებით მოსპო სატვირთო მანქანა და 18 გერმანელი პარაშუტისტი, რომელნიც შიგ ისხდნენ.

სამი გერმანელი გენერლის დაპატიმრება

ჟენევა, 17 ივლისი. (საქდესი). შვეიცარიული გაზეთი „სიუსი" იუწყება, რომ სამი გერმანელი გენერალი, რომელნიც სარდლობდნენ ნაწილებს აღმოსავლეთის ფრონტზე, რამდენიმე დღის წინათ დააპატიმრეს იმისათვის, რომ მათ აზრი გამოსთქვეს ომის განგრძობის წინააღმდეგ. „კვლევაძიებაშია, — სწერს გაზეთი მთელი რიგი საქმეები სხვა გერმანელი ოფიცრებისა, რომელნიც იყვნენ გერმანიის ჯარების შემადგენლობაში აღმოსავლეთის ფრონტზე და ამჟამად გადაყენებული არიან. გერმანული გაზეთები გაფრთხილებით მიმართავენ სამხედრო წრეებს, რომლებიც, როგორც ფიქრობენ, იმ აზრისა არიან, რომ ომი აღარ უნდა გაგრძელდეს".

გავაძლიეროთ ბოლშევიკური პროპაგანდა და აგიტაცია

რესპუბლიკური თათბირი პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე

15-16 ივლისს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე ჩატარდა რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. პ. ა. **შარიამ.**

თათბირზე აღინიშნა, რომ პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში საქართველოს ბოლშევიკებმა დიდი სამამულო ომის დღეებში მდიდარი გამოცდილება დააგროვეს და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს.

პარტიული ორგანიზაციები კონკრეტულად ხელმძღვანელობენ აგიტაციას და პროპაგანდას, სისტემატურ დახმარებას უწევენ აგიტატორებს, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებს, აწყობენ მათი მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

მასებში პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის ფართოდ გაშლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სალექციო მუშაობის ხარისხს. ამ მხრივ დაგროვილი გამოცდილების შესახებ თათბირზე ილაპარაკეს ამხ. გობრონიძემ (საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომი), ა. ზარნაძემ (საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომი), ს. აქუბარდიამ (საქართველოს კ. პ. (ბ) ოჩამჩირის რაიკომი), ა. ბოჩიკაშვილმა (საქართველოს კ. პ. (ბ) ადიგენის რაიკომი).

წელს გურჯაანის რაიონში ჩატარებულ იქნა 445 ლექცია და მოხსენება, რომლებიც მოისმინა 44.500 კაცმა. რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები სისტემატურად კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს. ქობულეთის რაიონში 3.000 კაცი დამოუკიდებლად სწავლობს პარტიის ისტორიას და ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ". მათთვის ტარდება კონსულტაციები, მოწყობილია თემატიკური გამოფენა პარტკაბინეტში. ოჩამჩირის პარტრაიკომთან თვეში ერთხელ ეწყობა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი.

სალექციო პროპაგანდაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს. ზოგან გამოედევნენ ლექციების რაოდენობას და მიივიწყეს მათი ხარისხი. წყალტუბოს რაიონში შარშან და წელს 495 ლექცია ჩატარდა და მხოლოდ ბოლო ხანებში შემოიღეს ლექციების წინასწარი განხილვა. პარტრაიკომს შვიდი თვეა არა ჰყავს შტატის პროპაგანდისტი და მიზეზად რაიონში კადრების უყოლობას ასახელებს. ეს სწორი არ არის.

ამხ. ვ. კვარაცხელიამ (წალენჯიხა) და ი. ბაბაევმა (ბორჩალო) ილაპარაკეს პროპაგანდისტების ნაყოფიერ მუშაობაზე. ამხ. ბაბაევმა აღნიშნა, რომ რაიონში აზერბაიჯანული ლიტერატურის ნაკლებობა აბრკოლებს საავიტაციო და საპროპაგანდო მუშაობას. ამხ. კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ წალენჯიხის რაიონში ტარდება აგიტატორთა ზონალური თათბირები გამოცდილების გაზიარებისათვის. ბოლო ხანებში გაძლიერდა აგრეთვე ლექტორთა ჯგუფის მუშაობა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. გ. ჟორჟიკაშვილმა ილაპარაკა პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენების საქმეში დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების შესახებ. თბილისის საწარმო-დაწესებულებებში 6.500-მდე სტახანოველი ეწევა საავიტაციო მუშაობას. თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის ერთერთ საამქროში აგიტატორად მუშაობს ამხ. ტ. დავითაშვილი. მისი საუბრები მიმზიდველი და შინაარსიანია. მოწინავე აგიტატორი თავის მსმენელებს პირადი შრომითაც აძლევს მაგალითს. ამხ. დავითაშვილის ინიციატივით აქ მოეწყო ახალგაზრდა კადრების ტექნიკური სწავლება, დაზგების საკუთარი ძალებით შეკეთება. ყოველივე ამან გაზარდა შრომის ნაყოფიერება. აგიტატორის მუშაობამ ხელი შეუწყო სოციალისტურ შეჯიბრებაში საამქროს გამარჯვებას. ამ დღეებში საამქრომ მიიღო გარდამავალი წითელი დროშა და 6.000 მანეთი ფულადი ჯილდო.

მეტად მრავალფეროვანია ამ საამქროში აგიტაციის ფორმები და მეთოდები. აგიტატორები, ცოცხალი საუბრებისა და ჟურნალ-გაზეთების ხმამაღლა კითხვის გარდა, ფართოდ აწყობენ კითხვა-პასუხის საღამოებს, ძველი გამოცდილი მუშებისა და ახალგაზრდების, აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირების შეხვედრებს, ამყარებენ მიწერ-მოწერას ფრონტელებთან, უშვებენ გაზეთს „ელვა", აწყობენ საპატიო დაფებს.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი. აქ სისტემატურად ეწყობა პროპაგანდისტთა სემინარის მეცადინეობა. პროპაგანდისტებს ეწევათ მეთოდური დახმარება, რეგულარულად იმართება ლექციები სხვადასხვა საკითხებზე.

[illegible] 21 წრე, სადაც 645 [illegible] 850 ლექცია [illegible] შემსწავლელთათვის ომის დღეებში მოეწყო 640 ლექცია. ამ ხნის მანძილზე სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა 50 სახელწოდების წიგნი და ბროშურა 105 ათასი ტირაჟით. გამოცემული წიგნების დიდ ნაწილს პოლიტიკური ლიტერატურა შეადგენს.

პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში ერთგვარად გააძლიერეს მუშაობა ასპინძისა და ქარელის პარტიულმა ორგანიზაციებმა, მაგრამ მათ ამ მხრივ ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებები. მაგალითად, ასპინძის რაიონში წელს ორი თვის მანძილზე არ გამოსულა რაიონული გაზეთი, ხოლო ქარელის რაიონის კოლმეურნეებისათვის ორი წელია კინოფილმი არ უჩვენებიათ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ქ. ოტიაშვილმა აღნიშნა, რომ საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში აგიტატორების ინიციატივით გაჩაღდა ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრება, მოეწყო შედეგების აღრიცხვა, გამოდის საველე გაზეთები. აგიტატორებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს იმაში, რომ რაიონმა უკვე დაამთავრა მოსავლის აღება და პირველი 15 ტონა თამბაქო ჩააბარა სახელმწიფოს. რაიკომის პარტკაბინეტი ხშირად აწყობს კონსულტაციებს კოლმეურნეობებში ამხანაგ სტალინის წიგნის, პარტიის ისტორიის, წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი ამხანაგების დასახმარებლად.

საქართველოს რადიოკომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ესაკიამ ილაპარაკა იმ პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ, რომელსაც ეწევა რესპუბლიკის ცენტრალური და რაიონული რადიომაუწყებლობა. საქართველოს რადიოკომიტეტმა მოაწყო საკავშირო და უცხოეთის ინფორმაციის საქდესისაგან დამოუკიდებლად მიღება და ახლა რესპუბლიკის მოსახლეობა ადგილობრივი რადიოგადაცემის დაწყებისთანავე უმნიშვნელოვანეს ამბებს მშობლიურ ენაზე ისმენს.

ამხ. ესაკიამ უსაყვედურა გორის, ზუგდიდის, ახალქალაქის, ახალციხის, გურჯაანის, ბოგდანოვკის, საგარეჯოს, ტყვარჩელის, ოჩამჩირის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებს რაიონული რადიოგაზეთებისადმი სუსტი ხელმძღვანელობა.

ქმედით აგიტაციას, პარტიული აქტივის, სოფლის ინტელიგენციის სწავლების საკითხს შეეხებოდა ამხ. ვ. ლალიაშვილის (ქუთაისი) და გ. გობეჩიას (ზუგდიდი) გამოსვლები. ქალაქ ქუთაისში ომამდე აგიტაციას 700 კაცი ეწეოდა, ახლა კი 1.100 აგიტატორი მუშაობს. ისინი გაერთიანებული არიან 98 აგიტკოლექტივში. ზუგდიდის რაიონი თვეში სამჯერ აწყობს პარტიული აქტივის სემინარს. სოფლის ინტელიგენციის თათბირებზე პერიოდულად იკითხება ლექციები საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, აგრეთვე სამხედრო, ისტორიულ და პოლიტიკურ თემებზე. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რაიკომის ბიუროს წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში, ატარებენ სოფლად მოხსენებებს პოლიტიკურ თემებზე, ხელმძღვანელობენ სემინარს და სხვ.

თათბირზე განსაკუთრებით აღინიშნა „გლავკინოპროკატისა" და „სოიუზპეჩატის" საქართველოს რესპუბლიკური განყოფილებების სუსტი მუშაობა მოსახლეობის კინოფილმებით მომსახურებისა და რაიონებისათვის ჟურნალ-გაზეთების მიწოდების დარგში. ეს აზრი გამოსთქვეს ამხ. გობრონიძემ (საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომი), მესხმა (საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომი), ნახაპეტიანმა (საქართველოს კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომი), ნამიჩეიშვილმა (საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომი) და დ. ლილუაშვილმა (საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტი).

ამხ. ნამიჩეიშვილმა ილაპარაკა აგრეთვე იმ თვალსაჩინო აგიტმასობრივი მუშაობის შესახებ, რასაც ეწევიან გორის რაიონის ბოლშევიკები კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში. რაიკომმა საკუთარი ძალებით წელს მარტო მეორე კვარტალში 250 ლექცია და მოხსენება ჩაატარა.

მარგანეცის ქალაქის აგიტატორები,—განაცხადა ამხ. დ. ლილუაშვილმა, — დაუღალავად იბრძვიან ახალგაზრდა მაღაროელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, წარმოებიდან მოუწყვეტლად მათი მომზადებისათვის, აგიტატორებს კარგად ეხმარება საქალაქო პრესა. მაგრამ რადიოგაზეთის მუშაობას აბრკოლებს გაუმართლებელი შეთავსებები. მუშათა კლუბებიც არ არიან უზრუნველყოფილი რეპერტუარით, ხოლო დედაქალაქის თეატრები და ფილარმონია ჭიათურის მოსახლეობას ნაკლებ მხატვრულ მომსახურებას უწევს.

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. ვ. ტუსკაძემ განაცხადა, რომ ოლქში პარტიის ისტორიას და ამხანაგ სტალინის წიგნს ინდივიდუალურად და წრეებში სწავლობს 19,387 კაცი. [illegible] ამჟამად სოხუმში ქალაქის პარტაქტივისათვის ეწყობა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი.

— პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის სტალინურ ტრადიციებზე დაუღალავად სწავლობენ ჩვენი აგიტატორები,—განაცხადა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. კ. ბაბილოძემ.—ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის შესწავლის საქმეში დიდი მუშაობა გასწია აჭარის სახელმწიფო რევოლუციურმა მუზეუმმა.

პარტიის ზოგიერთი რაიკომი სუსტად ხელმძღვანელობს თავის ორგანოს — რაიონულ გაზეთს. ამიტომ ამ რაიონებში ბეჭდვითი სიტყვა ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. ეს ითქმის ჩოხატაურისა და ყარაიის პარტრაიკომებზე (პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების გამგეები ამხ. ვ. გიორგაძე და ბაბაევი).

თათბირზე აგრეთვე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაკები ამხ. ვ. ბურჯანაძე, მ. ალექსიშვილი და მ. დუდუჩავა, რომლებმაც გააკრიტიკეს მთელ რიგ რაიონებში პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში არსებული ნაკლოვანებები.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ბურჭულაძე შეჩერდა პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაზე. მან აღნიშნა, რომ ბევრგან სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები გულისხმიერად არ ეკიდებიან პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს. ადგილი აქვს კლუბებისა და ქოხ-სამკითხველოებისათვის ბინების ჩამორთმევას, პოლიტგანათლების მუშაკთათვის ხელფასის დაგვიანების, საკლუბო დაწესებულებებისათვის განკუთვნილი თანხების გაფლანგვისა და სხვა დანიშნულებით გამოყენების შემთხვევებს. ქარელის რაიონში აბანოს სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. სეფისკვერაძემ ქოხ-სამკითხველო ბინიდან გამოასახლა. ასევე მოიქცნენ ამავე რაიონის სოფელ მოხისში — კლუბის შენობა კოლმეურნეობას მიჰყიდეს. ამხ. ბურჭულაძემ ანალოგიური ფაქტები მოიყვანა სამტრედიის, ყარაიის, ბოგდანოვკის, კასპის, ახალციხის და ბორჩალოს რაიონებიდან.

თათბირი ვერ დააკმაყოფილა „სოიუზპეჩატის" საქართველოს განყოფილების დირექტორის ამხ. გოცირიძის გამოსვლამ, რომელმაც ვერცერთი პრაქტიკული წინადადება ვერ შეიტანა გაზეთის მიწოდების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს უფროსმა ამხ. ბ. გოგუამ აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა კინომომსახურება. თუ წინათ სარაიონთაშორისო განყოფილებებში არ იყო არც ერთი ავტომანქანა და მხოლოდ 44 მოძრავი კინო-აპარატი მუშაობდა, ახლა არის 25 ავტომანქანა და 74 კინოაპარატი. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული 170 აპარატიდან უკვე შეკეთებულია 161. მაისსა და ივნისში 1.930 ნაცვლად 2.283 კინოსეანსი მოეწყო. ამხ. გოგუამ აღნიშნა, რომ ბევრგან არ ფიქრობენ მოძრავი კინოსათვის საჰაპანო ტრანსპორტის გამოყენებაზე.

საქდესის პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა ამხ. ი. რუხაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მახარაძის, ჯავის, ქედის, ადიგენის, ყაზბეგის, ვანისა და საჩხერის რაიონულმა გაზეთებმა დღემდე ვერ მოაწყეს საქდესის რადიოინფორმაციების მიღება.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ჯორჯაძემ ილაპარაკა პარტიული აქტივის მარქსისტულ-ლენინური სწავლების შესახებ. რაიონში პარტიული აქტივისათვის ჩამოყალიბებულია მუდმივად მოქმედი სემინარი, რომელიც კვირაში ერთხელ მეცადინეობს. რაიკომმა სამეურნეო აქტივისათვის მოაწყო ლექციების ციკლი ეკონომიკის საკითხებზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. პ. ა. **შარიამ.**

საბჭოთა კავშირის დიდმა სამამულო ომმა, — ამბობს ამხ. პ. ა. შარია,—მოითხოვა მთელი ჩვენი მატერიალური და სულიერი ძალების მაქსიმალური დაძაბვა. მუშაობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნის შედეგად, პარტიულმა ორგანიზაციებმა დააგროვეს მდიდარი გამოცდილება, წარმოიშვა აგიტაციისა და პროპაგანდის ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მარქსისტულ-ლენინური აღზრდის შემდგომს გაუმჯობესებას.

ბოლშევიკი პროპაგანდისტის, აგიტატორის განუყრელი თვისებაა ახლის გრძნობა, ინიციატივა, მუშაობის მოწინავე გამოცდილების გადმოღებისა და დანერგვისათვის ზრუნვა. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სხვა ოლქებისა და რაიონების პარტორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილების მექანიკური გადმოღება კარგ შედეგს არ მოგვცემს. ჩვენ ყოველმხრივ უნდა ვფლობდეთ მუშაობის შემოქმედებით სტილს, შეგვწევდეს უნარი ღრმად ჩავუკვირდეთ, ჩავწვდეთ მოვლენას და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისას გავითვალისწინოთ ადგილობრივი პირობების თავისებურებანი, გამოვნახოთ საჭირო ფორმები და მეთოდები.

თათბირმა მოგვცა რესპუბლიკაში საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დაყენების საერთო სურათი. უეჭველია, ამ დარგში გარკვეული მიღწევები გვაქვს. მაგრამ სიტყვით გამოსული ამხანაგები ძალიან დიდ ადგილს უთმობდნენ პროპაგანდისტთა მუშაობის რაოდენობრივ მაჩვენებლებს. პარტიულ პროპაგანდაში არ შეიძლება რიცხვობრივი მაჩვენებლებით გატაცება. საჭიროა მოეწყოს არა მარტო ბევრი, არამედ, პირველ ყოვლისა კარგი და მაღალხარისხოვანი ლექცია, რომელიც უპასუხებს მსმენელთა მოთხოვნებს, მათს გაზრდილ ინტერესებს.

სალექციო პროპაგანდაში ჩვენი ერთერთი ნაკლი ის არის, რომ იშვიათად ვამოწმებთ ლექტორების, მომხსენებლებისა და პროპაგანდისტების მუშაობას. ამიტომ ჩატარებული ლექციები და მოხსენებები ზოგჯერ სქემატურია და ვერ აკმაყოფილებენ ჩვენი აუდიტორიის მოთხოვნებს.

შემდეგ ამხ. პ. ა. შარიამ ილაპარაკა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი დახმარების შესახებ და გააკრიტიკა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ის გამგეები, რომლებიც სალექციო და საკონსულტაციო მუშაობის მოწყობისას უგულებელყოფენ დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების მოთხოვნებს, სათანადოთ არ ხელმძღვანელობენ მათს სწავლებას, არ უწევენ საჭირო დახმარებას.

— ზოგიერთ რაიონში, — ამბობს ამხ. შარია, — ცდილობენ მარტოოდენ შტატით ყველგან და ყველაფერს გასწვდნენ, არ იყენებენ რაიონის ხელმძღვანელ აქტივს, ხოლო ზოგჯერ ურიგდებიან იმასაც, რომ შტატის პროპაგანდისტები რაიკომის რეზერვის ინსტრუქტორებად არიან გადაქცეულნი და გამორკვევებზე დადიან. ეს ნაკლი უნდა აღმოიფხვრას.

რაიონის პარტიული აქტივი კარგად რომ გამოიყენო, ამისათვის საჭიროა მოეწყოს მისი სწავლება. ამ მხრივ უეჭველად კარგი წამოწყება აქვთ სტალინის (თბილისი), ზუგდიდისა და ლაგოდეხის რაიკომებს.

შემდეგ ამხ. პ. ა. შარია ეხება პარტიულ კაბინეტების მუშაობას და მიუთითებს, რომ კამათში გამოსული ამხანაგები გაკვრით, ზოგჯერ კი სულაც არ იხსენიებდნენ პარტკაბინეტებს.

— პარტიული კაბინეტი, — ამბობს ამხ. პ. შარია, — პროპაგანდისტული და საავიტაციო მუშაობის ლაბორატორიაა. მას უნდა ხელმძღვანელობდეს პოლიტიკურად განათლებული ადამიანი, რომელსაც ყოველ წუთს თვითონ შეუძლია ჩაატაროს ლექცია თუ კონსულტაცია. მაგრამ ზოგიერთი რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნაკლებად ზრუნავს პარტკაბინეტის შესაფერი მუშაკის შერჩევისათვის, კონკრეტულად არ ხელმძღვანელობს მის მუშაობას, ამიტომ არის, რომ ზოგჯერ კონსულტაციები და პროპაგანდისტთა სემინარებს პარტიულ კაბინეტებში ფორმალური ხასიათი აქვთ.

— ცრუმორწმუნეობას, მარჩიელობას, ექიმბაშობას ჩვენ ყოველთვის ვუპირისპირებდით და ვუპირისპირებთ სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო პროპაგანდას. საჭიროა სისტემატურად ტარდებოდეს სამეცნიერო-პოპულარული ლექციები მეცნიერების ყოველი დარგიდან. ამ მხრივ სალექციო ბიუროებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ.

ამხ. პ. შარია დაწვრილებით შეჩერდა ბეჭდვითი პროპაგანდის მდგომარეობაზე, და აღნიშნა, რომ პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობს თავის ორგანოს — გაზეთს. ბევრმა რედაქტორმა ვერ ისწავლა გაზეთის ფურცლების რაციონალურად გამოყენება. ამიტომ ისინი უჩივიან ფორმატის სიმცირესა და პერიოდიულობას. რაიონული გაზეთების რედაქციების მნიშვნელოვანი ნაწილი ნაკლებად მუშაობს კორესპონდენციების ლიტერატურულ დამუშავებაზე. ბევრ რაიონში არასაკმაო ყურადღება ექცევა გაზეთის მხატვრულ გაფორმებას, ძირეულ პრესაზე ხელმძღვანელობას, მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას. მთელი რიგი რაიონული გაზეთები პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებს აშუქებენ სქემატურად, ერთხელ დადგენილი შაბლონით, ნაკლებად ზრუნავენ კორესპონდენტთა აქტივის შემოკრებისათვის.

— რაიონული რადიო-გაზეთების მუშაობაც მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს,—ამბობს ამხ. შარია.—საჭიროა მიკროფონთან ხშირად გამოვიყვანოთ შრომის ფრონტის გმირები, სპეციალისტები, პარტიული მუშაკები, სამამულო ომის მონაწილენი.

— პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლად. კლუბი, ბიბლიოთეკა, ქოხსამკითხველო, კულტურის სახლი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მძლავრი ბერკეტებია. პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ უბანს. საჭიროა სისტემატურად ვამოწმებდეთ და ვეხმარებოდეთ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მათს მუშაობაში.

— საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, — ამბობს ამხ. პ. შარია, — დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ მაღალ იდეურ ტრადიციებზეა აღზრდილი. ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, აგიტაცია და პროპაგანდა, რომ იგი სავსებით უპასუხებდეს დიდი სტალინის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას.

დასასრულ თათბირმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.



კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის დედაქალაქი—პეტროზავოდსკი ფინელებმა ვეებერთელა საკონცენტრაციო ბანაკად გადააქციეს. მთელი უბნები ეკლიანი მავთულით იყო შემოვლებული, რომლის იქითაც საბჭოთა ადამიანები ტყვეობაში იტანჯებოდნენ. კარელიის ფრონტის ჯარებმა და ონეგის ტბის მეზღვაურებმა ათასობით საბჭოთა მოქალაქე გაათავისუფლეს ფინელთა ტყვეობისაგან. სურათზე: პეტროზავოდსკის მცხოვრებლები საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოსვლისას. (ტასს-ის ფოტოქრონიკა).

ჯილდო მოწინავე საწარმოებს

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა ივნისში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 106,8 პროცენტით შეასრულეს. ამ საწარმოთაგან ყველას გაუსწრეს თბილისის სასკოლო-საკანცელარიო ნივთების ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. მალოიანი) და კალინინის სახელობის ქარხანამ (დირექტორი ამხ. მეშველიანი).

სასკოლო-საკანცელარიო ნივთების ფაბრიკის კოლექტივმა ივნისში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 216,4 პროცენტით, ხოლო ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებისა—243,2 პროცენტით. ამისათვის ფაბრიკის კოლექტივმა მიიღო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პრემია 15.000 მანეთის რაოდენობით.

კალინინის სახელობის ქარხნის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ივნისში 116 პროცენტით შეასრულა, ხოლო ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებისა—398,8 პროცენტით. ამასთან ქარხანამ გასწია ხელფასის ეკონომია 18,3 პროცენტით. ამ მიღწევებისათვის ქარხნის კოლექტივმა მიიღო საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და პრემია 10.000 მანეთი.

მოგებათა ორი ტირაჟი

15 ივლისს, მოსკოვში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში შესდგა მოგებათა ორი ტირაჟი—მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) 32-ე ტირაჟი და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის 27-ე ტირაჟი.

მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ტირაჟში გათამაშებულია 273.920.000 მანეთის 1.670.000 მოგება.

სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ტირაჟში გათამაშებულია 67.818.800 მანეთის 410.750 მოგება. (საქდესი).

საბჭოთა კავშირის გმირი გ. გოცირიძე

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა".
ძველი ქართული ანდაზა.

1942 წლის შემოდგომაზე გაფთრებული ბრძოლა სწარმოებდა სტალინგრადის კედლებთან. მტერი ვოლგისაკენ, ჩვენი სამშობლოს სასიცოცხლო ცენტრებისაკენ მოიწევდა. მთელი ჩვენი ქვეყანა დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს სტალინგრადის ბრძოლას.

სექტემბრის ერთ-ერთ დღეს სტალინგრადის ფრონტზე ჩამოვიდა გიორგი გოცირიძე. იგი საინჟინრო ბატალიონს მეთაურობდა. ომში ჩაება არა როგორც ახალმოსული, არამედ როგორც გამოცდილი, მცოდნე ოფიცერი. სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში გოცირიძე უდიდესი შეუპოვრობით ითვისებდა ურთულეს საგნებს, ეუფლებოდა რთულ ფორმულებს.

ამხ. გოცირიძემ შემთხვევით როდი აირჩია მესანგრის პროფესია. მესანგრე მოხერხებული, მარჯვე, ფრთხილი უნდა იყოს. იგი არ უნდა შესცდეს, ვერ უნდა მოატყუონ. სახიფათო რისკი მესანგრის მუდმივი თანამგზავრია. საფრთხე მუდამ იტაცებდა გიორგის. იგი ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოირჩეოდა დაუდეგრობით, დიდი ცნობისმოყვარეობით. ერთხელ მან თვითონ ააგო პატარა ნავი და „მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობას" შეუდგა. მეზღვაურობით გატაცების შემდეგ მან გადასწყვიტა მფრინავი გამხდარიყო. მის მიერვე გამოთლილი უცნაური ფრთებით მას უნდოდა პატარა მდინარეზე გადაფრენილიყო, მაგრამ შუაგულ მდინარეში ჩავარდა და კინაღამ დაიხრჩო.

ძიების მუდმივი წყურვილი, ყველაფრის შეცნობის სურვილი მას შემდეგში გამოადგა. იგი პირველხარისხოვანი სამხედრო ინჟინერი გახდა. მტრისათვის არაერთხელ დაუპირისპირებია მას საბჭოთა მეომრის მოხერხებულობა, საზრიანობა, უნარიანობა. როგორადაც არ ცდილობდნენ გერმანელები, ერთხელაც ვერ შესძლეს ეჯობნათ გოცირიძისათვის.

• • •

1943 წლის თებერვალი. მდინარე დონი. ფართო და მძლავრია ეს მდინარე. მას ფონს ვერ მოუნახავ.

სარდლობამ უბრძანა გოცირიძის ბატალიონს გადასასვლელები მოეწყო. გოცირიძის მესანგრეები მუშაობას შეუდგნენ, მაგრამ არც გერმანელებს ეძინათ. ისინი დღედაღამ ფხიზლობდნენ. ღამის სიბნელეში გამუდმებით ენთებოდნენ გამაშუქებელი რაკეტები. სინათლე იყო, როგორც დღისით. სროლის გუგუნი არა სწყდებოდა. ბატალიონს ზარალი მოსდიოდა. როგორ მოქცეულიყვნენ?

პატარა მიწურში იჯდა გოცირიძე. სუსტად ბჟუტავდა სინათლე, იგი აშუქებდა მის ჭკვიანურ, ლამაზ სახეს. გოცირიძეს წინ ედო ტოპოგრაფიული რუკა, უხვად აჭრელებული ლურჯი და წითელი ხაზებით. გოცირიძე გულმოსული ათვალიერებდა მას. იგი რაღაცას ეძებდა, უცნაურ წრეებს ავლებდა, შემდეგ კვლავ შლიდა მათ.

გადაწყვეტილება მომწიფდა: გადასასვლელები სხვა ადგილას უნდა აიგოს, ორი კილომეტრით ქვემოთ.

გერმანელები ძაღლური გულმოდგინებით ადევნებდნენ თვალყურს მესანგრეთა თვითეულ ნაბიჯს. მათ ალღოთი მიაგნეს ახალი გადასასვლელის ადგილს. ტყვიის წვიმა დაატყდა თავს დაუღალავ მესანგრეებს.

გერმანელები ანგრევდნენ დიდი ჯაფით აგებულ გადასასვლელს, ამხ. გოცირიძის მებრძოლები კი ისევ აღადგენდნენ მას. ეს იყო არაჩვეულებრივი ბრძოლა. შეიბნენ ნებისყოფა, ამტანობა. ასე გრძელდებოდა მთელ დღეს. მოტყუებული დარჩნენ ფაშისტები! ისინი ბომბავდნენ ცრუ გადასასვლელებს, ნამდვილი გადასასვლელი კი შეუფერხებლად მოქმედებდა. ეს იყო ის გადასასვლელი, რომელსაც, თითქოს თავი დაანებეს მესანგრეებმა. ამ გადასასვლელზე გადავიდნენ ჩვენი ნაწილები, გადავიდა არტილერია, ტანკები. საბჭოთა ჯარებმა მოულოდნელად მძლავრად დაარტყეს ჰიტლერელებს და შემუსრეს ისინი.

• • •

1942 წლის დეკემბერში 150 მებრძოლი გოცირიძის მეთაურობით მტრის ზურგისაკენ გაემართა. უნდა აეფეთქებინათ რკინიგზის ხიდი. მებრძოლები შეუმჩნევლად მიუახლოვდნენ ხიდის მცველებს. მცველები საფრთხეს ვერ გრძნობდნენ. შობის წინაღამით ფაშისტებს ქეიფი გადაეწყვიტათ. ისინი შეზარხოშებულიყვნენ და უდარდელად ღიღინებდნენ. ხანჯლის დარტყმით ორივე გერმანელი ძირს დაეცა. მაგრამ მესანგრეებმა ვერ მოასწრეს ასაფეთქებელი მასალის ჩაწყობა. გერმანელებმა თავდასხმა აღმოაჩინეს. წვიმასავით წამოვიდა ნაღმები და ტყვიები. ჩვენებმა ერთიანი, ძლიერი ცეცხლით უპასუხეს. ჰიტლერელები დაფრთხნენ. წითელარმიელთა მცირე ჯგუფი მათ ხიდისაკენ გამოჭრილ წითელი არმიის დიდ ნაწილად მოეჩვენათ. ამოქმედდნენ გერმანელთა მძიმე ბატარიები. რამდენიმე ყუმბარა ხიდს მოხვდა და დაანგრია იგი. სწორედ ხიდის დანგრევა იყო საჭირო!

გერმანელებს საშუალება მოესპოთ მიეზიდათ ტანკები და სხვა სამხედრო ტვირთი. ჩვენმა მებრძოლებმა უძვირფასესი ცნობები მოიტანეს მოწინააღმდეგის ცეცხლის სისტემის შესახებ. იმავე ღამეს საბჭოთა არტილერისტებმა ფაშისტებს მძიმე ყუმბარები დააყარეს. მოწინააღმდეგის რამდენიმე საცეცხლე წერტი განადგურდა, აფეთქებულ იქნა სამხედრო მასალების დიდი საწყობი.

* * *

წითელი არმიის მძლავრი შეტევის შედეგად ფაშისტები უკან იხევდნენ. გერმანელები რაკეტებით უჩვენებდნენ გზას თავიანთ უკანდახეულ ჯარებს.

საბჭოთა ჯარებს ტყვედ ჩაუვარდა გერმანელი ეფრეიტორი. ამხ. გოცირიძემ დაჰკითხა იგი. ტყვის ჩვენებიდან გოცირიძემ შეიტყო რაკეტების პაროლი. ჩვენმა ჯარებმა დაიწყეს გერმანული პაროლის მიცემა. გერმანიის ავიაციამ, რომელიც აქამდე გაფთრებით ისროდა, შესწყვიტა ბომბების ჩამოყრა, დადუმდა არტილერიაც. ფაშისტებმა ჩვენი შემტევი ნაწილი მიიღეს თავიანთ უკანდახეულ მეომრებად. წითელი არმიის ქვეგანაყოფები სწრაფად და უვნებლად მიიწევდნენ წინ. გერმანელებმა თავიანთი შეცდომა დილით შეამჩნიეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. წითელი არმიის პოლკებმა საშუალება არ მისცეს მტერს გადაჯგუფებულიყო, გონს მოსულიყო. მხოლოდ მცირეოდენმა მოახერხა თავის გადარჩენა და მეორე ნაპირზე გასვლა.

სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა დნეპრის ზღუდეზე. ჩვენი შემტევი ნაწილის წინააღმდეგ გერმანელთა ორი დივიზია — „დას რაიხი" და „მკვდარი თავი" იდგა. მათ ეხმარებოდა 130-ზე მეტი ქვემეხი.

ამხ. გოცირიძის ბატალიონმა სარდლობის დავალება შეასრულა: ააგო გადასასვლელი იქ, სადაც გერმანელები არ ელოდნენ. ნაპირი ქვიშიანი, ციცაბო იყო. დაფერდება 60 მეტრს აღწევდა. მაგრამ სახელოვანმა საბჭოთა მესანგრეებმა სძლიეს ბუნებას. მათ უზრუნველჰყვეს არა მარტო ტანკების, არამედ მძიმე თვითმავალი არტილერიის გადასვლაც.

გერმანელებმა გადასწყვიტეს გადასასვლელზე იერიში მოეტანათ ფლანგიდან, მდინარის მხრიდან. ამ მიზნით დნეპრის ერთ-ერთ საგუბარში მათ თავი მოუყარეს ჯავშანკატერებს. ჯავშანკატერები მიმოდიოდნენ ნაპირის გასწვრივ და ცეცხლს უშენდნენ ჩვენს ნაწილებს. საბჭოთა არტილერისტები ნერვიულობდნენ, ვინაიდან არ შეეძლოთ საგუბრისათვის დაეშინათ — მდინარის შუაგულში ხავსიანი პატარა კუნძული იყო. ამ კუნძულს ამოფარებოდნენ გერმანელები. აქ ჩვენების დასახმარებლად მოვიდნენ ამხ. გოცირიძის მესანგრეები. მათ დაამზადეს ძლიერი ფუგასური მოქმედების დიდძალი მცურავი ნაღმი. თვითეული ნაღმი აღკაზმული იყო საათის მექანიზმით და საჭის მართვით. ამხ. გოცირიძემ გამოარკვია მდინარის სვლის სისწრაფე, დინების მიმართულება. ღამით მრისხანე ნაღმები დნეპრში შეაცურეს. გოცირიძის ვარაუდი გამართლდა, მდინარის ტალღებმა ნაღმები საგუბარში მიიყვანა. ნაღმები დაეჯახნენ კატერების ბაქანს. ამუშავდა საათის მექანიზმი და უდიდესი ძალის აფეთქება გაისმა. თხუთმეტი წუთის განმავლობაში იდგა გამანადგურებელი გრიალი.

მეთვალთვალეებმა დილით ასეთი ცნობა მოიტანეს: გერმანელები გაღმა ნაპირზე აღარ არიან. ნაპირზე რაღაც უცნაური ნამსხვრევები მიმოფანტულიო.

ეს იყო ყველაფერი, რაც დარჩა გერმანელთა კატერებიდან. ფაშისტებს ვერ გამოერკვიათ — თუ ვინ და როგორ დაატეხა მათ თავს საშინელი განადგურება. მათ იმავე ღამით დასტოვეს საგუბარი. წითელი არმიის ნაწილები დაუბრკოლებლივ გადავიდნენ მეორე ნაპირზე.

სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა მარჯვენა ნაპირზე. მტერმა ბრძოლაში ჩააბა დიდი სატანკო ძალები. ისინი ცდილობდნენ უკანვე ჩაეყარათ დნეპრის მეორე ნაპირზე გადასული საბჭოთა ქვეგანაყოფები. ამხ. გოცირიძის ყველგანმყოფი მესანგრეები ფხიზლად იყვნენ. მათ დანაღმეს ირგვლივ ადგილმდებარეობა. გერმანელთა ვერც ერთი ტანკი ვერ გადმოვიდა. ჩვენმა ჯარებმა თავი მოუყარეს ძალებს და წინ გაიჭრნენ. გერმანელები უკუქცეულ იქნენ.

სამამულო ომის განმავლობაში ამხ. გ. გოცირიძე დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის".

მდინარე დნეპრის გადალახვისას გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის მთავრობამ გვარდიის მაიორ გიორგი გიორგის-ძე გოცირიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.

უფროსი ლეიტენანტი ზ. ლომიძე

ვეხმარებით სამშობლოს დამცველთა ოჯახებს

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილება თვალსაჩინო მუშაობას ეწევა ფრონტელთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ჩვენს მუშაობაში მთავარია ფრონტელთა ოჯახების წევრების სამუშაოზე მოწყობა. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუ როგორ სწრაფად დაეუფლნენ წარმოების ტექნიკას და როგორ წარმატებით მუშაობენ საწარმოებში ახლადმოსულნი. აბრეშუმის ფაბრიკაში ფრონტელთა ცოლებმა მერაბიშვილმა, ოლენიკოვამ, ხალაცოვამ და სხვებმა შესცვალეს თავიანთი ქმრები დაზგებზე და მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკის ადმინისტრაცია, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ საწარმოში ახალმოსულებთან მუშაობას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

ჩვენი განყოფილების მიერ წარმოება-დაწესებულებებში მოწყობილია 300-მდე ფრონტელთა ოჯახის წევრი. დღიდან განყოფილების დაარსებისა, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრებს მიეცათ ფულადი დახმარება 4 მილიონი მანეთის რაოდენობით.

განყოფილება ზრუნავდა და ზრუნავს ფრონტელთა ოჯახების საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. საცხოვრებელი ბინა მიეცა ფრონტელთა 12 ოჯახს, შეკეთებულ იქნა ასობით ბინა. ერთი სასადილო და ორი დახურული მაღაზია სპეციალურად ემსახურება 5.300-მდე ფრონტელთა ოჯახს.

საჭიროა აღინიშნოს ის ნაკლიც, რომელიც ჩვენს განყოფილებას აქვს. ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ მუდმივი საყოფაცხოვრებო მოქმედი ბრიგადები. ფრონტელთა ოჯახის ბევრი შრომისუნარიანი წევრი არ არის მოწყობილი შესაფერ სამუშაოზე.

არადამაკმაყოფილებელია ზოგიერთი ინსპექტორის მუშაობა. ფრონტელთა ყველა ოჯახი არ არის აღრიცხვაზე აყვანილი. ადგილი ჰქონდა ფრონტელთა ოჯახების წევრების მიმართ უხეშად მოპყრობას და სხვ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენი განყოფილება კარგი მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზე გვქონდეს. ჩვენ უნდა გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და უარყოფითი მხარეები, პირნათლად შევასრულოთ დაკისრებული მოვალეობა.

ი. ბულეიშვილი

თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილების გამგე.

საუკეთესოდ მოვაწყოთ ციტრუსების მყნობა

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციები ყოველწლიურად იზრდება და ფართოვდება. ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი ფართოდ შენდება საკარმიდამო ნაკვეთებზეც.

პარტია და მთავრობა, პირადად დიდი სტალინი უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ჩვენში ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების, მათ შორის ციტრუსოვანთა შემდგომი განვითარებისათვის. ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობითა და დახმარებით საქართველოში აყვავდა და განვითარდა ციტრუსოვანთა მეურნეობა.

მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველჰყვეს პლანტაციების და სანერგეების საუკეთესო მოვლა, შედეგიც კარგი მიიღეს. ბათუმის რაიონის გონიოს საბჭოთა მეურნეობაში არის ისეთი ხეები, რომლებიც წელიწადში 10.000 ცალზე მეტ ნაყოფს იძლევიან. საქართველოს ბევრ რაიონში ასეულ ათასობით გამოჰყავთ ციტრუსოვანთა სტანდარტული ნერგი.

კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა მნიშვნელოვანი შრომა გასწიეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილებათა განხორციელებისათვის — გააუმჯობესეს ციტრუსოვან მცენარეთა მოვლა და დაცვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა 1940—1941 წლებში ყინვისაგან დაზიანებული ციტრუსოვანი პლანტაციების აღდგენას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასანერგე მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ამ მიზნით მარტო წელს, გაზაფხულზე, გაშენდა 140 ჰექტარი ტრიფოლიატის სადედე, რაც ზაფხულში გამოყენებულ იქნება დასამყნობად, და 42 ჰექტარი ტრიფოლიატის სათესი სკოლა.

მთელმა რიგმა რაიონებმა ტრიფოლიატის გადარგვის გეგმა წარმატებით შეასრულეს. მახარაძის რაიონში დავალება შესრულებულია 120 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 112 პროცენტით, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 104,7 პროცენტით. გეგმები შესრულებულია აგრეთვე ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ქუთაისის რაიონებში.

მაგრამ ყველგან არ ითვალისწინებენ იმ დიდ მნიშვნელობას, რაც ტრიფოლიატის თავის დროზე გადარგვას და მოვლას ენიჭება ციტრუსოვანთა საზაფხულო მყნობის საქმეში. წალენჯიხის რაიონმა ტრიფოლიატის გადარგვის გეგმა მხოლოდ 74,6 პროცენტით შეასრულა, გეგეჭკორის რაიონმა — 53 პროცენტით, წულუკიძის — 86,6, ზუგდიდის — 89,3, ჩხოროწყუს — 86 და ვანის რაიონმა — 46,6 პროცენტით.

ტრიფოლიატის დარგვის გეგმის შეუსრულებლობა იმით არის გამოწვეული, რომ მეურნეობებში ყველგან ვერ მოაწესრიგეს შრომა, ვერ უზრუნველჰყვეს აგროწესების მოთხოვნათა ზუსტად განხორციელება. ამ ჩამორჩენის შედეგად ბევრგან მყნობისათვის უვარგისი, არასტანდარტული ნერგია დარგული. გეგეჭკორის რაიონში გადარგული 180.000 ძირი ტრიფოლიატიდან მყნობისათვის წელს გამოდგება მხოლოდ 15.000 ძირი. ცუდი მოვლის შედეგად, ფოთისა და წულუკიძის რაიონის კოლმეურნეობებში მყნობისათვის ვარგისია ნერგის მხოლოდ 30 პროცენტი. ქუთაისის რაიონში — 35, ხობის რაიონში კი 52 პროცენტი.

ბეჯითად მოჰკიდეს საქმეს ხელი და კარგ შედეგებს მიაღწიეს აჭარის ასს რესპუბლიკის და მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა. აქ 1944 წლის საზაფხულო მყნობისათვის უკვე მზად არის საძირე ტრიფოლიატის 80 პროცენტი.

თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს სანერგეები მოვლა და კარგ შედეგსაც მიაღწიეს ურეკისა და კახაბრის საბჭოთა მეურნეობებმა, აგრეთვე ცხაკაიის რაიონის ახალსოფლის სტალინის სახელობის, ხობის მახარაძის სახელობის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

საზაფხულო მყნობამდე ცოტა დრო დარჩა. I აგვისტოდან მყნობა ყველგან უნდა გაჩაღდეს. დარჩენილი მცირე დრო მაქსიმალური ნაყოფიერებით უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მყნობას ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ.

შეუწყნარებელია, რომ ხობის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის ციტრუსოვანთა სანერგეებში მუშაობა უმეტეს შემთხვევაში კამპანიურ ხასიათს ატარებს. სანერგეები მიმაგრებული არ არის გამოცდილ კოლმეურნეებზე. ამის შედეგად, ხობის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. პერტაია) სანერგე ბალახით არის დაფარული, 20.000 ძირი ტრიფოლიატის ნერგი დასუსტებული და განუვითარებელია, მყნობისათვის 25 პროცენტზე მეტი არ გამოდგება. ასეთსავე მდგომარეობაშია 50.000 საძირე ტრიფოლიატი სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „რევოლუციის ნაპერწკალში". გულრიფშის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა ამხ. ჯაბუა, შარშან შემოდგომაზე 60.000 ძირი ტრიფოლიატი გადარგეს, მაგრამ გაზაფხულზე კვლავ ამოიღეს და გადაჰყარეს როგორც უვარგისი. ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე ლანჩხუთის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში.

სუბტროპიკული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გადაუდებელი ამოცანაა ისე წარმართონ მთელი მუშაობა, რომ მყნობის პერიოდისათვის სანერგეებში მიღწეულ იქნას საძირეების მთლიანი შემოსვლა. უახლოეს 10-15 დღეში სანერგეები უნდა გაითოხნოს, გაფხვიერდეს, სუსტ საძირეებს მიეცეს ნაკელწყალი და აზოტოვანი სასუქი. საჭიროა ამ მუშაობის გამეორება აგვისტოს პირველ რიცხვებშიც. მყნობის დაწყებამდე 10 დღით ადრე აუცილებელია გაიწმინდოს ტრიფოლიატის ღეროები ზედმეტი ამონაყრისაგან. ამ სამუშაოს გაჭიანურებას შეუძლია დააგვიანოს ჭრილობების შეხორცება, ზეგავლენა მოახდინოს შემდეგში ნამყენის გახარებაზე. ამავე დროს, მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მყნობა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სტანდარტულ საძირეებზე, ესე იგი ისეთ ნერგებზე, რომელთა დიამეტრი 8-10 მილიმეტრია.

მყნობისათვის საჭირო კალმები აღებულ უნდა იქნას მხოლოდ აპრობირებული და საღი სადედე ხეებიდან. საჭიროა ყურადღება მიექცეს სამყნობი კალმების ჯიშების მიხედვით აჭრას. ამ მიზნით აუცილებელია კალმები აჭრისთანავე შეიკრას კონებად, გაუკეთდეს ეტიკეტი სათანადო წარწერით — რომელი კულტურაა და რა ჯიშისა. მყნობა კი უნდა ჩატარდეს ცალკეულ მწკრივებში ჯიშების მიხედვით და ჩაიწეროს სანერგე წიგნში.

საჭიროა კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა დიდი მზრუნველობა გამოიჩინონ წელს დათესილი ტრიფოლიატის მოვლის საქმეში, ნათესები იმგვარად უნდა განვითარდეს, რომ მომავალი წლის მყნობის გეგმები წარმატებით შესრულდეს.

მივიღოთ ყველა ზომა აგროწესების ურყევად განხორციელებისა და მყნობის 1944 წლის სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ვ. ა. ალავიძე

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე

უკეთ ვიმუშაოთ ივლისში

ირგვლივ მთები, ტანაყრილი წიწვიანი ხეები, შუაში გაშლილი ველი ჩაის პლანტაციით დაფარული. პლანტაციების შუაგულში ლამაზი ორსართულიანი შენობები: საშუალო სკოლა, თეატრი, კინო, საბავშვო ბაღი და ბაგა, სასადილო... ყველა ეს დიდიჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობისაა.

აქ გაცხოველებული მუშაობა მაისიდან იწყება. წელს მაისში მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხის ჩაი 85,5 პროცენტს შეადგენდა, მაგრამ გეგმის რაოდენობრივ შესრულებაში მეურნეობა ჩამორჩა.

ივნისში მეურნეობის დირექციამ (დირექტორი კ. გოგია) სამუშაოები წესიერად დაგეგმა. მეურნეობას ივნისში, მაისის დანაკლისის ჩათვლით, უნდა მოეკრიფა 176 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ეს გეგმა წარმატებით შესრულდა.

გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით ისახელა თავი პირველმა განყოფილებამ (უფროსი ნ. დგებუაძე). მან მაისში მოპოვებული წარმატებისათვის გარდამავალი დროშა მიიღო, ხოლო ივნისის გეგმა 26 რიცხვამდე 101 პროცენტით შეასრულა. კარგად მუშაობს მესამე და მეოთხე განყოფილებაც (უფროსები ვ. ცაავა, ი. თორდიავა). ბრიგადებს შორის შეჯიბრებაში დაწინაურდა მეორე ბრიგადა (ბრიგადირი ვ. ანჯაფარიძე). წარმატებით მუშაობენ: ვ. თოდუას, ნ. ზავგოროდნაიას და შ. თოდუას ბრიგადები. მეხუთე ბრიგადა მაისში ჩამორჩებოდა. ივნისში იგი მოწინავეებს დაეწია, ზოგიერთს კიდეც გაუსწრო და გარდამავალი დროშის მიღების კანდიდატი გახდა.

ფართოდ არის ცნობილი წითელარმიელის ცოლის სტახანოველ ქსენია გოგუას წარმატება. მაისში 10 სამუშაო დღეში მან 1,000 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ივნისში კი — 2,500 კილოგრამი. მეურნეობის სტახანოველები: თ. ხურცილავა, ლ. კილასონია, გ. გოგოროვა ყოველდღიურ ნორმებს 500-800 პროცენტით ასრულებენ.

მეურნეობაში ხარისხს მტკიცედ იცავენ. გამოირკვა, რომ მეორე ბრიგადა არ იცავდა კრეფის წესებს. ამაში დამნაშავე იყო თ. გვილავა, რომლის საკითხიც პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა. პარტიულმა ორგანიზაციამ ასევე იმსჯელა ოცდამეოთხე ბრიგადის მუშაკ დ. ლურჯკაიას შესახებ. მათ პარტიული სასჯელი დაედოთ. ამის შემდეგ დ. ლურჯკაიამ მუშაობა გამოასწორა, ხოლო თ. გვილავა კვლავ ჩამორჩება.

ივლისის თვემ უნდა გადასწყვიტოს მეურნეობის წლიური წარმატება. დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ.

ნ. ჯანჯღავა



განთავისუფლებულ პეტროზავოდსკში. საბჭოთა ოფიცერი კუზმინი პეტროზავოდსკის განთავისუფლებულ მცხოვრებთა შორის შეხვდა თავის ვაჟებს — 11 წლის ასკოლდს და 13 წლის ვლადიმირს. ამხ. კუზმინის ცოლი დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკში, ხოლო ბავშვები იქ იყვნენ საბჭოთა ჯარების მიერ პეტროზავოდსკის დაკავებამდე. სურათზე: ოფიცერი კუზმინი შეხვდა თავის შვილებს.

ფოტო გ. კონოვალოვისა (ტასსის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო მიმოხილვა

გასული კვირის უმნიშვნელოვანესი სამხედრო და პოლიტიკური მოვლენა იყო ვილნიუსის განთავისუფლება. საბჭოთა ლიტვის დედაქალაქში კვლავ საბჭოთა დროშა ფრიალებს.

გერმანელები შეუპოვრად ებღაუჭებოდნენ ვილნიუსს. ისინი მაშველ ძალებს აწვდიდნენ გარშემორტყმულ გარნიზონს, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველათ. წითელმა არმიამ განდევნა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები ლიტვის უძველესი დედაქალაქიდან, სახელოვანი და მრავალტანჯული ქალაქი ლიტველ ხალხს, მთელ საბჭოთა მიწა-წყალს დაუბრუნა. ვილნიუსის განთავისუფლების ამბავს სიხარულითა და ენტუზიაზმით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი.

ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხებმა ისევე, როგორც ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხალხებმა, დასცალეს ტანჯვით სავსე ფიალა. მათ განიცადეს ჰიტლერელთა ურდოების პირველი დარტყმები. მათი მიწა-წყალი, ქალაქები და სოფლები გაძარცულ იქნა, ხოლო მოსახლეობა ან მოსპეს ან მონობაში გარეკეს. ამჟამად დადგა დრო ფაშისტური ჩაგვრისაგან საბჭოთა ბალტიისპირეთის განთავისუფლებისა. შორს აღარ არის რიგისა და ტალინის განთავისუფლება.

გერმანელებმა თავიანთ „ოსტლანდში" შეიტანეს საბჭოთა ბალტიისპირეთი, მათ უნდოდათ მოესპოთ ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკები. არ გამოუვიდათ! ჰიტლერის საზიზღარი დამქაში ალფრედ როზენბერგი, სწორედ ის, რომელიც „ოსტლანდს" განაგებდა და „დუშეგუბკების" განმკარგულებელი იყო, ახლა წითელი არმიის დარტყმების გამო იძულებული გახდა თავისი „სამმართველოს" ლიკვიდაცია მოეხდინა. აღარ არსებობს „ოსტლანდი". არის საბჭოთა მიწა-წყალი, რომელიც თავისუფლდება და აღორძინდება. გერმანელები „ბალტიისპირეთის ჭიშკარს" ეძახდნენ ვილნიუსს, მაგრამ თამამად შეიძლება მას ვუწოდოთ გერმანიის ჭიშკარი. მთელი საქმე ის არის, საიდან და სით წახვალ. წავიდა ის დრო, როცა გერმანელები აღმოსავლეთისაკენ მოდიოდნენ. ახლა წითელი არმია მიდის დასავლეთისაკენ. იგი მიდის და თავისი ძლევამოსილი შეტევით სულ უფრო და უფრო უახლოებს ომს ჰიტლერული გერმანიის საზღვრებს.

ჰიტლერელები განგაშს სცემენ. „ფიურერმა" უკვე გადაიტანა თავისი ბინაკი შუაგულ გერმანიაში. აღმოსავლეთი პრუსია საომარ ზონად არის გამოცხადებული. წითელი არმია ანადგურებს გერმანელების მიერ აგებულ ყველა ზღუდეს. წითელი არმია სძლევს მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, მუსრავს მის ჯარებს და მალე მიადგება საბჭოთა მიწა-წყლის ზღუდეებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის მთელ უდიდეს ფრონტზე.

საბჭოთა მეომრები მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყოფენ თავიანთ ძლევამოსილებას, ბრძოლებში ნაცადს თავიანთ ხელოვნებას. მტერი წინააღმდეგობას უწევს და კვლავაც სასოწარკვეთილ წინააღმდეგობას გაგვიწევს. მას სურს რადაც უნდა დაუჯდეს გაახანგრძლივოს თავისი საზიზღარი არსებობა. წითელი არმია არ მისცემს მას არც მოსვენებას, არც ვადას, იგი ბრძოლებით მიიწევს წინ დასავლეთისაკენ. წითელი არმია და ჩვენი მოკავშირეები ბოლოს მოუღებენ ფაშისტ მხეცს მის საკუთარ ბუნაგში.

დღემდე დამტკიცებული არ არის ცნობილი გოგოლის უნტერ-ოფიცრის ცოლმა გაიწკეპლა თავი, თუ გოროდნიჩიმ დასწამა მას ეს ცილი. მაგრამ სამაგიეროდ შეიძლება თამამად ვამტკიცოთ, რომ ჰიტლერელმა გენერალმა დიტმარმა სრულიად დამოუკიდებლად გაიწკეპლა თავი. ამისათვის საკმარისია წავიკითხოთ მისი მორიგი რადიომიმოხილვა.

რასაკვირველია, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ის მოელოდა.

„ჩვენს უკანასკნელ მიმოხილვებში, — ამბობს იგი, — ჩვენ თითქმის მხოლოდამხოლოდ ნორმანდიას ვეხებოდით... ამასობაში მოხდა ის, რასაც შემოჭრის დაწყებიდანვე მოველოდით: დაიწყო საბჭოთა შემოტევა უდიდესი მასშტაბისა". საბჭოთა შემოტევის განსაკუთრებული საფრთხე, განმარტავს გენერალი, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხდება ჰიტლერული გერმანიის ჭიშკართან. დიტმარმა თავის მიმოხილვას სათაურიც ასეთი გაუკეთა: „ჭიშკართან".

„ახლა, — შეშფოთებით აცხადებს დიტმარი, — მოვლენები უკვე უშუალოდ ჩვენს ახლო მიმდინარეობენ, მათ არ ამსუბუქებს მანძილი. ისინი უკანასკნელი გადაწყვეტილების წინაშე გვაყენებენ... ბარანოვიჩი და მოლოდეჩნო, ლიდა და ვილნო, — ყველა ესენი სადღაც აღმოსავლეთის განუზომელ სივრცეთა ფარგლებში როდი არიან გაფანტულნი, არამედ საკმაოდ ახლოს მდებარეობენ. ამ პუნქტების მითითება საკმაოდ ამჟღავნებს საბჭოთა არმიების წინსვლის საფრთხეს".

ფაქტები დიტმარზე ძლიერი აღმოჩნდნენ, მათი დამალვა შეუძლებელია. მაგრამ — როგორ უნდა აიხსნას ეს ფაქტები? გენერალი იშმუშნება. მას შეეძლო [illegible] მიზეზები „[illegible]". მაგრამ [illegible] საკმარისია: დიტმარი იძულებულია აღიაროს წითელი არმიის ძალის უპირატესობაც და საბჭოთა სტრატეგიის უპირატესობაც. „ჩვენ, — აცხადებს იგი, — კვლავ აღმოვჩნდით მძიმე გარემოებაში, რომელიც იქმნება მაშინ, როცა უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს შესაძლებლობა აქვს დაიწყოს შეტევა მთელ რიგ პუნქტებში". მაგრამ ყველაფერი არც ეს არის. თურმე ჩაიფუშა „თავდაცვის ის მეთოდიც, რომელიც გამაგრებულ პუნქტებზე იყო დაფუძნებული".

„შეუპოვარმა ბრძოლებმა, — აღნიშნავს გენერალი, — გამოიწვიეს გარღვევათა შექმნა, რომლებშიც შემოაღწიეს სატანკო და მოტორიზებულმა შენაერთებმა. ეს ღრმა შემოღწევა ხდებოდა იმ პოზიციების შემოვლით, სადაც გამაგრებული იყვნენ გერმანიის ჯარები... განსაცვიფრებელმა სიღრმემ, რომელზეც მოწინააღმდეგემ მოახერხა შემოღწევა, სპეციფიკური პირობები შექმნა".

სპეციფიკური და, დავძენთ ჩვენ, მეტად არახელსაყრელი გერმანელთა სარდლობისათვის. დიტმარი თვითონაც ამჟღავნებს ამ ყველასათვის ცნობილ საიდუმლოებას. იგი აცხადებს: „ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობების დამთხვევაზე, რომელთაც გადამწყვეტი ხასიათი აქვთ".

გერმანიის ჯარები და დიტმარი ვერაფრით ვეღარ დააღწევენ თავს ამ პირობებს. გენერალს კი მიცემული აქვს ამოცანა ახსნას მოვლენათა მსვლელობა, მხნეობა ჩაუნერგოს გერმანელებს, იგი მოუწოდებს დაძაბონ „უკანასკნელი ძალ-ღონე" და რადაც უნდა დაუჯდეთ მოიგონ დრო, „უზრუნველჰყონ გერმანიის ტერიტორიის უშუალო დაცვა".

გერმანელთა სევდა დროის გამო გასაგებია, მაგრამ ჰიტლერელთა მისწრაფება — ყოველი საშუალებით გააჭიანურონ ომი — ვერ იხსნის მათ განადგურებისაგან.

* * *

გაზეთში მოთავსებული განცხადებები მუდამ წარმოადგენენ ცხოვრების ერთგვარ სურათს. მიუხედავად სასტიკი რეგლამენტაციისა, გერმანული ფაშისტური გაზეთების განცხადებათა განყოფილების უდიდესი ნაწილი ჩვეულებრივ დაკავებულია სამგლოვიარო განცხადებებით. მაგრამ ამჟამად მოხდა მიცვალებულთა შევიწროება, რათა ადგილი დაეთმოთ უმუშევარი სამოქალაქო ოკუპანტებისათვის, რომელნიც აღმოსავლეთიდან გაიქცნენ და გარბიან.

ამ სახის ფაშისტი მძარცველნი დაიძრნენ აღმოსავლეთიდან პირველ რიგში. უკვე მარტში შეიძლებოდა წაგვეკითხა გერმანულ ფაშისტურ ფურცელში „ფელკიშერ ბეობახტერში" შემდეგი შინაარსის განცხადება:

„საწარმოს ორმოცი წლის ხელმძღვანელი, გამოცდილი კომერსანტი, წელიწადზე მეტ ხანს იყო დიდი კომპანიის საფინანსო განყოფილების უფროსად უკრაინაში, ამჟამად ეძებს ახალ სამუშაოს... იმპერიაში, პროტექტორატში (ე. ი. ჩეხოსლოვაკიაში), საგენერალგუბერნატოროში (ე. ი. პოლონეთში). რა დარგიც იქნება, სულ ერთია".

№ 1 „კომერსანტს" მიჰყვა № 2 „კომერსანტი", რომელიც აპრილში უკვე არ მიისწრაფვის არც „პროტექტორატში", არც „საგენერალგუბერნატოროში". იგი აცხადებს: „ენერგიული, გულმოდგინე კომერსანტი, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს საჭირო საწარმოს ხელმძღვანელად მუშაობდა აღმოსავლეთში, ეძებს ახალ სამუშაოს, შეძლებისდაგვარად საზღვარგარეთ".

მესამე ოკუპანტი მყუდროებას ვერ გრძნობს ვარშავაშიც. იგი ორწელიწადს „მუშაობდა" აღმოსავლეთში, ამჟამად ვარშავაში იმყოფება, მაგრამ სწყურია იქიდან წასვლა და მზად არის კურიერის ადგილსაც კი დათანხმდეს.

ყველა ისინი „თბილ" და „უშიშარ ადგილს" ეძებენ. ერთი პირდაპირ თხოულობს ყრუ ადგილს, „პატარა ქალაქში", ალპებში ვიმუშავებო. ყველა იმათ „იმუშავეს აღმოსავლეთში", ახლა ეშინიათ დასავლეთში წასვლა. როგორც ვიცით, მყუდროება არც დასავლეთშია. ჩვენმა მოკავშირეებმა აიღეს კაენი. ახლა მათ ფართო შესაძლებლობა ეძლევათ, რომ დიდი დარტყმები მიაყენონ მოწინააღმდეგეს თავდაცვის სიღრმეში.

ჰიტლერული სიბილწე გარბის აღმოსავლეთიდან, როგორც ვირთაგვები გარბიან, ხომალდი რომ იძირება. მაგრამ სადაც უნდა შეძვრეს ეს სიბილწე, მას ყველგან იპოვის მართლმსაჯულების მახვილი. იმ დამნაშავეთა რიგში, რომელნიც დამსახურებულ სასჯელს მიიღებენ, თავიანთ ადგილს დაიკავებენ უსაქმოდ დარჩენილი კოლონიზატორებიც, ამჟამად უმუშევარი მძარცველები.

ი. ვიქტოროვი

გეგმების შესრულება

ყვარლის რაიონმა თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღება 16 ივლისისათვის დაამთავრა. მოსავალი აღებულია 11.007 ჰექტარზე. ამჟამად მიმდინარეობს მარცვლეულის ლეწვა და პირველი გაწმენდილი ხორბლის სახელმწიფოსათვის ჩაბარება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი ციხისთავი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ავალიშვილი

* * *

თბილისის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა 101,4 პროცენტით შეასრულა — დამზადებულია 3.925 კილოგრამი პარკი.

ონი, (საქტასი). ონის რაიონის კოლმეურნეობებმა 1 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის გეგმა.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხაზით წლიური გეგმა შესრულებულია 101,3 პროცენტით, თხისა — 156,8 პროცენტით, ცხენისა — 117 პროცენტით.

* * *

ორჯონიკიძის რაიონმა სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის ჩაბარების წლიური გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულა.

* * *

სამტრედიის რაიონმა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ნახევარი წლის გეგმები გადაჭარბებით შეასრულა.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

(ტრესტ „საქჩაის" 15 ივლისის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტობით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტობით
ბათუმი	47,8	31,3	ქუთაისი	51,6	38,3
ქობულეთი	45,0	23,7	წყალტუბო	52,6	11,6
გალი	44,2	20,5	ტყიბული	57,8	40,1
გულრიფში	84,9	40,0	ცხაკაია	44,9	9,7
ოჩამჩირე	41,3	17,1	აბაშა	44,3	4,3
სოხუმი	126,0	130,0	გეგეჭკორი	43,2	14,8
გუდაუთი	57,3	40,7	ზუგდიდი	46,3	21,7
მახარაძე	47,0	29,8	წალენჯიხა	51,2	28,3
ჩოხატაური	47,1	30,5	ჩხოროწყუ	46,2	14,1
ლანჩხუთი	40,3	20,3	ხობი	44,8	14,9
სამტრედია	56,3	40,5	ჩხარი	58,8	57,9
წულუკიძე	45,0	10,9	ზესტაფონი	21,5	4,9

მახარაძის, ხობის, გეგეჭკორისა და აბაშის რაიონების ცნობები არასრულია.

დეპეშები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები

ლონდონი, 16 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, ნათქვამია:

15 ივლისს გრძელდებოდა ქვეითი ჯარის გააფთრებული ბრძოლები დასერილ ადგილზე მოკავშირეთა ფრონტის მთელ დასავლეთ სექტორში. მთელ რიგ პუნქტებში მოკავშირეთა ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს წინ სენტენი-პერიეს გზის სამხრეთით და სენ-ლოს ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მისადგომებზე. საღამოს დაწყებული იერიშის შედეგად ევრესის რაიონში დაკავებულია სოფელი ესკე. შუაღამისას ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს მცირე მანძილზე, ამ სოფელს იქით.

მოკავშირეთა ავიაგამანადგურებელი ბომბდამშენები 15 ივლისს საღამოს მიუახლოვდნენ პარიზს 150 მილზე და იერიში მიიტანეს სატრანსპორტო ობიექტებზე ნევერ-ბურჟ-ორლეან-ტურის რაიონში. 15 ივლისს ღამით მძიმე ბომბდამშენთა შენაერთი თავს დაესხა რკინიგზის კვანძებს ნევერსა და შალონ-სიურ-მარნში.

ლონდონი, 16 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 16 ივლისის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

ფრონტის დასავლეთ სექტორში გრძელდებოდა მოკავშირეთა ჯარების წინსვლა. ჯარებმა, რომლებიც კარანტან-მარინის გზის სამხრეთით უტევენ, დაიკავეს სოფელი ლატიბოტრი. მიღებულია ცნობები ომე დ' არტენეს სამხრეთით წინსვლის შესახებ. ჩვენმა ჯარებმა, რომლებსაც იერიში მიაქვთ სენ-ლოზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, წინ წაიწიეს ერთ მილზე მეტი მანძილით, აიღეს სოფელი ემელი და მიაღწიეს პუნქტს, რომელიც 1.500 იარდით არის დაშორებული თვით სენ-ლოს.

უფრო შორს აღმოსავლეთით ტილი-ევრესის რაიონში ჩვენმა ჯარებმა აიღეს ბრეტვილეტი. ნაწილებმა, რომლებმაც გუშინ საღამოს იერიში მიიტანეს ესკეს რაიონში, წინ წაიწიეს დაახლოებით 4 ათასი იარდით ევრესის ჩრდილოეთით მდებარე გორაკების გასწვრივ. მოწინააღმდეგის ფრონტის ხაზის შვერილი, რაც შეიქმნა ამ იერიშის შედეგად, ლიკვიდირებულ იქნა დღეს დილით, ამასთან აღებულ იქნა გავრიუსი და ვუგი.

გარდა მოწინააღმდეგის საფრონტო პოზიციებზე თავდასხმებისა, ჩვენი საშუალო ბომბდამშენები, რომლებსაც ავიაგამანადგურებლები ახლდნენ, ურტყამდნენ რკინიგზის ობიექტებს პარიზში, დრეში, გრენვილში და არჟანტანის ახლოს. ავიაგამანადგურებლებმა, რომლებიც მძიმე ბომბდამშენთა მოქმედებას იფარავდნენ გერმანიაზე დღის თავდასხმის დროს, იერიში მიიტანეს რკინიგზის ობიექტებზე ლუნევილში და აეროდრომებზე ბელგიაში.

ლონდონი, 17 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს ლეომე-დარტენესა და პონებერის სამხრეთით. ჩვენმა ჯარებმა მდინარე ლოზონის მეორე ნაპირზე ხიდწინა სიმაგრე შექმნეს და გააფართოვეს. მტრის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მოკავშირეთა ჯარებმა რამდენადმე წინ წაიწიეს. ჩვენი ჯარები მიძალებას განაგრძობდნენ სენ-ლოს ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით. მოკავშირეთა ჯარებმა დასძლიეს მტრის გააფთრებული წინააღმდეგობა და მიაღწიეს ნუაიეს გარეუბნებს ვილერ-ბოკაჟ-კანის რკინიგზაზე.

დღისით 16 ივლისს, მოკავშირეთა ავიაციის ოპერაციების ძირითადი ობიექტები იყო მოწინააღმდეგის კომუნიკაციები.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 16 ივლისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ მერვე არმიის ნაწილებმა გასტეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და დაიკავეს მაღლობი მონტე ლინიანო, რომელიც დაჰყურებს არეცოს სამხრეთ მისადგომებს. ამ მაღლობის დაკავებით მოკავშირეებს შესაძლებლობა მიეცათ კარგად ადევნონ თვალყური ჩრდილოეთისაკენ გადაჭიმულ ტერიტორიას. მერვე არმიის მეწინავე ნაწილები სულ ხუთ კილომეტრზე იმყოფებიან არეცოსთან. პერუჯის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მთიან რაიონში მოქმედმა მეწინავე ჯავშანსატანკო შენაერთებმა დაიკავეს ქალაქები გუბიო და კოსტაჩარო. მეხუთე არმიის ნაწილები, რომლებმაც მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ 14 ივლისის განმავლობაში, კვლავ ხვდებიან მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას ფრონტის დასავლეთ სექტორში. მეხუთე არმიის ფრანგთა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი კასტელინა, პოჯიბონსის აღმოსავლეთით. ამერიკელთა ნაწილებმა დაიკავეს ორი სოფელი და მთელ რიგ უბნებზე წინ წაიწიეს დაახლოებით 1,5 კილომეტრით.

გუშინ მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ ნავთსარეწებსა და ნავთსაწმენდ ქარხნებს პლოეშტის რაიონში (რუმინეთი). თვითმფრინავებმა, რომლებიც შედიან მოკავშირეთა ტაქტიკური ავიაციის შემადგენლობაში, დაბომბეს მოწინააღმდეგის კომუნიკაციები და სხვა ობიექტები ჩრდილოეთ იტალიაში და ბრძოლების რაიონში, აგრეთვე იუგოსლავიასა და ალბანეთში.

მოკავშირეთა ჯარები ლივორნოდან 8 კილომეტრზე იმყოფებიან

ლონდონი, 17 ივლისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ იტალიაში მოკავშირეთა ჯარები იერიშებს განაგრძობდნენ და მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ ფრონტის მთელ რიგ უბნებზე.

ტიბრის ხეობის აღმოსავლეთითა და დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა დასძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და დაიკავეს სოფელი ლიპიანო.

მე-5 არმიის ამერიკელთა ნაწილებმა, რომელნიც მდინარე არნოსაკენ უტევენ, მოიგერიეს მთელი რიგი ძლიერი კონტრიერიშები და დაიკავეს ქალაქი ლორენცანა და რამდენიმე სოფელი. ლიგურიის ზღვის სანაპიროზე ამერიკელთა მეწინავე რაზმები ლივორნოდან 8 კილომეტრზე იმყოფებიან. პოჯიბონსის სექტორში მოგერიებულია მტრის მეტად ძლიერი კონტრიერიშები, ამასთან მოწინააღმდეგეს ზარალი მოუვიდა. ქალაქი კვლავ ამერიკის მე-5 არმიის ფრანგთა ნაწილების ხელშია.

გუშინ მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენების შენაერთებმა დაბომბეს აეროდრომი და სხვა სამხედრო ობიექტები ვენის რაიონში. ტაქტიკური ავიაციის თვითმფრინავები ურტყამდნენ მტრის ობიექტებს იუგოსლავიაში, ადრიატიკის ზღვაზე და სამხრეთ საფრანგეთში.

ყველა ამ ოპერაციაში მოსპობილია მტრის 44 მანქანა. მოკავშირეებმა 20 თვითმფრინავი დაჰკარგეს.

ამერიკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ მიუნხენს, საარბრიუკენსა და ვენას

ლონდონი, 17 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 16 ივლისს ერთი ათასი ბომბდამშენი — „მფრინავი სიმაგრე" და „ლიბერეიტორი", — რომელთაც ბაზა ინგლისში აქვთ, დაახლოებით 500 ავიაგამანადგურებლის თანხლებით, თავს დაესხა მიუნხენსა და საარბრიუკენს. იმავე დროს ამერიკელთა 250-დან 500-მდე მძიმე ბომბდამშენი, რომელთაც ბაზა იტალიაში აქვთ, ურტყამდა სამხედრო ნაგებობებს ვენაში. ორივე შემთხვევაში დაბომბვა ღრუბლებიდან სწარმოებდა ხელსაწყოებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა „პოლიტიკური მოქმედების ნაციონალური სამოქალაქო კომიტეტი"

ვაშინგტონი, 15 ივლისი (საკდესი). საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის პოლიტიკური მოქმედების კომიტეტის თავმჯდომარემ ჰილმენმა გამოაცხადა, რომ ამერიკის 80-ზე მეტმა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ დააარსა „პოლიტიკური მოქმედების ნაციონალური სამოქალაქო კომიტეტი", რათა ჩაატაროს კამპანია რუზველტის ხელახლა არჩევისა და კონგრესის ისეთი შემადგენლობის არჩევისათვის, რომელიც მხარს დაუჭერს რუზველტის პოლიტიკას. ახალი კომიტეტის წევრთა რიცხვში შედიან პროფკავშირთა თვალსაჩინო მოღვაწეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, აგრეთვე უცხო წარმოშობის ამერიკელთა სხვადასხვა ჯგუფის ხელმძღვანელები. კომიტეტის აღმასრულებელ ორგანოში შედის 11 წევრი, მათ შორის მინესოტის შტატის ყოფილი გუბერნატორი ბენსონი, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარე მერეი, ფერმერთა ნაციონალური კავშირის თავმჯდომარე პატონი, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალი საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე ტომასი, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის პოლიტიკური მოქმედების კომიტეტის თავმჯდომარე ჰილმენი და სხვები.

ჰილმენმა მოუწოდა ყველა პროგრესიულ ამერიკელს შევიდეს კომიტეტის წევრად, მიუხედავად იმისა, თუ ფორმალურად რა პარტიას ეკუთვნის.

უპასუხა რა პრესის წარმომადგენელთა კითხვებს, ჰილმენმა განაცხადა, რომ პოლიტიკური მოქმედების კომიტეტი მხარს უჭერს ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე უოლესის კანდიდატურის წამოყენებას.

ამავე დროს საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარემ მერეიმ, რომელიც პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, აგრეთვე გამოაცხადა, რომ საწარმოო პროფკავშირთა კონგრესმა საბოლოოდ გამოსთქვა აზრი მხარი დაუჭიროს უოლესს.

ფინელები კვლავ მასობრივად გარბიან შვეციაში

სტოკჰოლმი, 15 ივლისი (საკდესი). ფინეთიდან შვეციაში უფრო და უფრო მეტი ლტოლვილი ჩამოდის. მათი უმეტესი ნაწილი ნავებით ჩამოდის ბოტნის ყურის გამოვლით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ყურის მთელს ფინეთის სანაპიროზე აკრძალულია ნავით მიმოსვლა. გარდა ამისა, ლტოლვილნი, განსაკუთრებით ჯარისკაცები, სახმელეთო საზღვარზე გადმოდიან ხაპარანდის ჩრდილოეთით.

შვედური გაზეთი „არბეტარენი" მოწინავეში, რომელსაც სათაურად აქვს „ფინეთი იხრწნება", სწერს: „ფინეთიდან გამოქცევა, როგორც ეს ყველაფრით ჩანს, დღითი დღე მატულობს. მსგავსი მოვლენები ყველაფერზე უფრო კარგად მოწმობენ ფინეთის ნამდვილ მდგომარეობას. ის ფაქტი, რომ შვეციაში გამოიქცა ფინეთის ჯარების მთელი რაზმი, უფრო არსებითი რამ არის, ვიდრე ცალკეულ პირთა გამოქცევა, თუნდაც ისინი ბევრნი იყვნენ. მთელი რაზმის გამოქცევა გვიჩვენებს, რომ ამ გამოქცევასთან დაკავშირებული საკითხები ახლა აშკარა მსჯელობის საგანი გამხდარა ფინელთა ნაწილებში. ომმა იმდენად მოაბეზრა თავი ფინელ ხალხს, რომ ბევრი ცდილობს გამოიყენოს სულ უკანასკნელი გამოსავალი მდგომარეობიდან—გაქცევა, თუნდაც ამ გაქცევით საფრთხეში ჩაიგდოს სიცოცხლე".

შვეიცარიის რადიო პარიზის ევაკუაციის შესახებ

ჟენევა, 16 ივლისი (საკდესი). როგორც შვეიცარიის რადიო გადმოგვცემს, ქალაქ პარიზის ხელისუფლებმა წინადადება მისცეს ყველას, ვისაც შესაძლებლობა აქვს, გაიხიზნოს პარიზიდან, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ სრულიად შესწყდეს ქალაქში გაზისა და ელექტრობის მიწოდება.

უცხოეთის ქრონიკა

გერმანიიდან პორტუგალიაში ჩავიდნენ გერმანელთა თვითმფრინავები, რომლებიც დატვირთული არიან ოქროს ზოდებით სავსე ყუთებით.

ადმირალი სიმადა გათავისუფლებულია იაპონიის საზღვაო მინისტრის მოვალეობისაგან. მის მაგივრად დანიშნულია ადმირალი ნომურა. (საკდესი).

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურული სპარტაკიადის მონაწილე შ. ენდელაძე ვარჯიშობს დირეზე გადასვლაში

ფოტო ვლ. გინზბურგისა

გურჯაანის რაიონში მოიპოვება ჯანსაღი სასმელი არტეზიული წყლის დიდი მარაგი. სურათზე: არტეზიული ჭის სიღრმის გაზომვა

ფოტო რ. აკოფოვისა

ფიზკულტურელთა საკავშირო დღე თბილისში

ფიზკულტურის საკავშირო დღის აღსანიშნავად კვირას, 16 ივლისს, ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე დიდი სპორტული დღესასწაული გაიმართა. შუადღიდან გვიან საღამომდე მიმდინარეობდა ფიზკულტურული გამოსვლები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეში—ლელოში, ფეხბურთში, მძლეოსნობაში.

უძველესი ნაციონალური სპორტის—ლელოს თამაშში ერთმანეთს შეეჯიბრნენ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნისა და 6 ქარხნის ახალგაზრდები. ამ თამაშით მათ მოხერხებულობისა და სიმარჯვის ნიმუშები გვიჩვენეს. შეჯიბრება დიდი ინტერესით მიმდინარეობდა და დასრულდა ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ფიზკულტურელთა გამარჯვებით. იმავე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ წითელი არმიის სახლისა და შრომითი რეზერვების სამმართველოს ფეხბურთელები. თამაში ცოცხალი ტემპით მიმდინარეობდა. იგი დასრულდა წითელი არმიის სახლის ფეხბურთელთა გამარჯვებით, ანგარიშით 4:0.

დამყარებულ იქნა მრავალი ახალი რეკორდი რბენასა და სიგრძეზე ხტომაში.

გარდა ამისა, მოეწყო შვედური ესტაფეტა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების სპორტული სკოლების მოსწავლეები.

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა განსაკუთრებით ლამაზად და ზუსტად შეასრულეს თავისუფალი ვარჯიშები, უჩვენეს აკრობატული ნომრები და სხვ.

დიდი სპორტული საღამო ჩატარდა აგრეთვე ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, სადაც მოეწყო ტანმოვარჯიშეების, სპორტის დამსახურებულ ოსტატ კასიანიკის, სპორტის ოსტატების კიკნაძის, შილაიას და პირველთანრიგოსანთა გამოსვლები.

ო. იოსელიანი

ჩეხოვის დღეები თბილისში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

18 და 19 ივლისს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავისადმი.

სესია მოისმენს შემდეგ მოხსენებებს:

18 ივლისს: პროფესორი ს. დანელია—„ჩეხოვი და მისი დრო", დოცენტი ა. კოსტანოვი—„ინტელიგენცია და სამშობლო ჩეხოვის შემოქმედებაში", გ. გიგლოვი—„ჩეხოვის ლიტერატურული შეხედულებანი";

19 ივლისს: პროფესორი ნ. ილინსკი—„ჩეხოვი და გორკი მათი მიმოწერის მიხედვით", დოცენტი გ. ჯაფარიძე—„ჩეხოვი ქართულ თარგმანებში", დოცენტი გ. ლევიცკი—„ჩეხოვის დრამატურგია".

სესიის სხდომების დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დასწრება თავისუფალია.

გრიბოედოვის თეატრში

ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავის აღსანიშნავად გრიბოედოვის თეატრმა 15 ივლისს უჩვენა ა. ჩეხოვის ერთ-ერთი საუკეთესო პიესა „სამი და".

თეატრის ფოიეში მოეწყო ა. პ. ჩეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენის პირველი განყოფილების თემაა—ა. ჩეხოვის ცხოვრება და შემოქმედება, მეორისა—ა. ჩეხოვი მოსკოვის სამხატვრო თეატრში, მესამისა—ა. ჩეხოვი საბჭოთა კავშირის თეატრებში და მეოთხისა—ა. ჩეხოვი ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრში.

გრიბოედოვის თეატრის მსახიობთა საშეფო ბრიგადებმა საშეფო ჰოსპიტლებში ა. ჩეხოვის დღეების ჩასატარებლად სპეციალურად მოამზადეს პროგრამები ჩეხოვის ნაწარმოებებიდან: „იუბილე", „კარგი დასასრული", „ძვირფასი ძაღლი", „ქირურგია" და „ბოროტგამზრახველი". რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვ. ბრაგინი და ი. ოსიპოვი კითხულობენ ჩეხოვის მოთხრობებს.

18.522.000 მანეთის მოგებანი ექვს თვეში

მიმდინარე წლის დასაწყისიდან 1 ივლისამდე, ე. ი. 6 თვეში, სახელმწიფო სესხების მომგებიანი ობლიგაციების მფლობელებს მოგებათა სახით საქართველოს შემნახველმა სალაროებმა მისცეს 18.522.000 მანეთი.

ეს თანხა უდრის 1943 წლის განმავლობაში სახელმწიფო სესხების მომგებიანი ობლიგაციების მფლობელებზე გაცემულ მთელ თანხას.

ლატარიის დიდი მოგებანი

საჩხერე („კომუნისტის" კორესპონდენტისაგან). საჩხერის რაიონის ბევრ მშრომელს ფულისა და ნივთების მესამე ლატარიის მსხვილი მოგება ხვდა. ცხამის სასოფლო საბჭოში მცხოვრებმა ნ. ხაჯალიამ ლატარიის ბილეთით მოიგო 5,000 მანეთი, ასევე 5,000 მანეთი მოგება ხვდა საჩხერის მცხოვრებს ვ. ედილაშვილს, სოფელ არგვეთის მცხოვრებ ბ. ვაჭარიძეს ხვდა ოქროს პორტსიგარი, სოფელ კორბოულში მცხოვრებ ს. სისვაძეს ოქროს საათი. მსხვილი მოგებანი ხვდათ აგრეთვე მოქალაქე დ. გელბახიანს, ა. გულიტაშვილს, ა. გოგატიშვილს და სხვ.

სავალდებულო დადგენილება

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

1944 წლის 27 ივნისი

„ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონლისა და ღორის შენახვის წესის შესახებ"

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აიკრძალოს მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონლის (ხარის, ძროხის, ცხვრისა და სხვ.) და ღორის შენახვა ქალაქ თბილისის ცენტრალურ უბნებში, იმ საზღვრებში, რომლებსაც მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის რაისაბჭოების აღმასკომები დააწესებენ რაიონული სახელმწიფო სანიტარული ინსპექციისა და ვეტერინარული ზედამხედველობის წარდგენის თანახმად.

სრულიად აიკრძალოს თხის შენახვა ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე.

2. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონლისა და ღორის შენახვა შეიძლება ქალაქ თბილისის გარეუბნებში, თუ დაცულ იქნება ქვემომოყვანილი პირობები:

ა) საძროხე, საღორე და სხვ. შეიძლება გაკეთდეს სულ ცოტა 100 მეტრის მანძილზე სკოლიდან, სხვა სასწავლებლიდან და საბავშვო დაწესებულებიდან, სულ ცოტა 50 მეტრზე სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებიდან, კლუბიდან და კვების საწარმოდან;

ბ) საძროხეს, საღორეს და სხვ. უნდა ჰქონდეს გაუვალი (თიხატკეპნილი და სხვა) იატაკი, გაუვალი საწუნწუხე, მჭიდროდ დასახურავი ყუთი ნაკელის შესაგროვებლად (ნაკელსაცავი);

გ) ცხოველისათვის განკუთვნილი სადგომი, თუ ამ სადგომიდან საკანალიზაციო ჭამდე 50 მეტრზე მეტი მანძილი არ არის, უნდა შეუერთდეს კანალიზაციას; სადგომს უნდა ჰქონდეს დაქანებული წყალგაუვალი იატაკი და წყალგაუვალი საწუნწუხე.

ნაკელსაცავი და საწუნწუხე ყოველდღე უნდა იწმინდებოდეს.

3. რქიანი საქონლისათვის განკუთვნილი ყველა სადგომის დეზინფექცია უნდა ხდებოდეს რეგულარულად, ყოველკვარტალურად მაინც, ღორის სადგომი კი—ყოველთვიურად. გარდა ამისა, ბაკისა და საღორის დეზინფექცია უნდა ხდებოდეს ვეტერინარული ზედამხედველობისა და სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ცალკეული მოთხოვნისამებრ.

4. საზოგადოებრივ ბაღში, პარკში, სკვერში, სანერგეში, ტყეკულტურის ზონაში (ორთაჭალის ტყეკულტურის რაიონი სოღანლუღამდე, კოჯრის გზატკეცილის მწვანე ნარგავთა ზონა, ფუნიკულიორის ტყეკულტურის რაიონი სოლოლაკიდან სოფელ ბაგებამდე, ლისის ტბის ტერიტორია, საქართველოს სამხედრო გზის მწვანე ნარგავთა ზონა ზაჰესამდე, ხუდადოვის ტყე, მახათას მთა), ქუჩასა და სასაფლაოზე სასტიკად აკრძალულია მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონლის (ხარის, ძროხის, ცხვრისა და სხვ.), აგრეთვე ღორის ძოვება.

5. დაევალოს ყველა ორგანიზაციას და ცალკეულ მოქალაქეს, რომელთაც ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ბაკი ან საღორე აქვთ, დაუყოვნებლივ მოიყვანონ ისინი ისეთ მდგომარეობაში, როგორიც შეეფერება ამ სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნულ მოთხოვნას.

ბაკი და საღორე, რომელიც სათანადო სანიტარულ მდგომარეობაში არ იქნება მოყვანილი 1944 წლის 1 აგვისტომდე, უნდა დაიხუროს ვეტერინარული ზედამხედველობისა და სანიტარული სახელმწიფო ინსპექციის განკარგულებით.

6. დაევალოს საქონლის პატრონებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციაში გაატარონ ძროხები და უშობლები 2 წლისაზე მეტი ასაკისა და მუშა საქონელი 2½ წლისაზე მეტი ასაკისა, ხოლო მოზარდეული, აგრეთვე ცხვარი და ღორი—რაიონის უფროს ვეტერინარ ექიმთან.

დაევალოს რაიონის საფინანსო ორგანოებს და რაიონის უფროს ვეტერინარ ექიმს საქონლის რეგისტრაციის დროს პატრონს მისცენ ცნობა რეგისტრაციის შესახებ.

7. ამა სავალდებულო დადგენილების დარღვევაში დამნაშავე პირნი დაჯარიმდებიან ადმინისტრატიული წესით 100-მდე მანეთით ან მიესჯებათ იძულებითი მუშაობა, 30-მდე დღით.

8. ამა სავალდებულო დადგენილების შესრულებისათვის თვალყურის დევნება ეკისრებათ ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოებს, სახელმწიფო სანიტარულ ინსპექციას და მილიციას.

9. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების 10 დღის შემდეგ და მოქმედებს მის გაუქმებამდე.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
გ. გოჩაშვილი.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი
შ. ბაქრაძე.

მზის ნაწილობრივი დაბნელება

აბასთუმანი, 17 ივლისი. 20 ივლისს მზის ნაწილობრივი დაბნელება დაიწყება დილის 7 საათსა და 40 წუთზე, დამთავრდება 8 საათსა და 50 წუთზე. დაბნელებული იქნება მზის დისკოს მარჯვენა ქვედა კიდე.

ობსერვატორიის დირექტორი **ხარაძე**

მწერალთა კლუბში

ორშაბათს, 19 ივლისს, საღამოს 8 საათზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) პროფესორი **კონსტ. კაპანელი** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: **„ძირითადი მიმდინარეობანი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში"**.

შესვლა თავისუფალია.

ორი კონცერტი

ამჟამად თბილისში საგასტროლო კონცერტებს მართავს მახარაძის რაიონის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ვ. სიმონიშვილის ლოტბარობით. 18 და 19 ივლისს საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში შესდგება ანსამბლის კონცერტები, რომელთა პროგრამაშია ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

კინოებში

18 ივლისს: **რუსთაველის სახელობის** — „მზიური ველის სერენადა", **ოქტომბერი** — „საჰაერო მეეტლე", **დამკვრელი**—**ზამთრის**—„ცისარტყელა", **ზაფხულის**—„უჩინარი იანი", **კომკავშირელი** — „მოსკოვის ცა".

სასამართლო

საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლები დაისაჯნენ

სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ილო გეგენას-ძე ალადაშვილმა, ამავე კოლმეურნეობის საწყობის ყოფილმა გამგემ ვასილ ილიას-ძე ნარინდოშვილმა, თამარ იოსების-ასულმა ჩითინაშვილმა და მოლარე ზინა სანდროს-ასულმა მარტიაშვილმა ხელი მიჰყვეს საკოლმეურნეო ქონებისა და თანხების განიავებას, მაგრამ მათ მალე გაუგეს და პასუხისგებაში მისცეს. ბრალდებულების საქმე ამ დღეებში გაარჩია სოფელ ჯუგაანში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ.

დადასტურდა, რომ ზემოხსენებულმა პირებმა გაანიავეს კოლმეურნეობის 781,535 მანეთი.

სასამართლომ ბრალდებულებს ი. ალადაშვილს, ვ. ნარინდოშვილს და თ. ჩითინაშვილს მიუსაჯა ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა ხუთ-ხუთი წლით. ბრალდებულ ზ. მარტიაშვილს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით და სამი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. მათვე დაეკისრათ კოლმეურნეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1944 წლის 28 ივლისს, დღის 2 საათზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ამავე ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების უფრ. მეცნიერი თანამშრომლის მოვალეობის აღმსრულებელი **გიორგი ალექსანდრეს-ძე ლომთათიძე** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში"**.

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. **გ. გოზალიშვილი**, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი; **ა. აფაქიძე**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი; **გ. გობეჯიშვილი**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული).

დირექცია

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი აცხადებს მიღებას 1944-45 სასწავლო წლისათვის. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 14-დან 25 წლის ასაკამდე. ტექნიკუმში ორი სექტორია — ქართული და რუსული — შემდეგი სპეციალობებით:

1. სალიანდაგო მეურნეობა
2. სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება
3. მოძრაობა და სატვირთო მუშაობა.

სწავლის ვადა ოთხი წელია. 1-ლ კურსზე მიიღებიან 7 და 8 კლასდამთავრებულნი. 9 და 10 კლასდამთავრებულნი მიიღებიან შესაბამისად II და III კურსებზე, ამ უკანასკნელთათვის სწავლების ვადა შესაბამისად 3 და 2 წელია.

განცხადება უფროსის სახელზე შეტანილ უნდა იქნეს პირადად ან გამოიგზავნოს ფოსტით 20 აგვისტომდე შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) განათლების მოწმობა (დედანი), ბ) დაბადების მოწმობა (დედანი), გ) ავტობიოგრაფია, დ) 3 ფოტოსურათი, ე) ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ და ვ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

ტექნიკუმში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან მხოლოდ ფრიადოსნები, რომლებმაც სათანადო განათლება მიიღეს (დაამთავრეს 7, 8, 9 ან 10 კლასი) უკანასკნელ ორ სასწავლო წელს.

დანარჩენები ვალდებულნი არიან ჩააბარონ მისაღები გამოცდები 20 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე შემდეგ საგნებში: მშობლიური ენა, მათემატიკა და სსრ კავშირის კონსტიტუცია.

ყველა ჩარიცხული სტუდენტი მიიღებს სტიპენდიას 125-დან 250 მანეთამდე, სამრეწველო და ტრანსპორტის მუშაკებთან თანაბრად უზრუნველყოფილი იქნება სამრეწველო საქონლით და სასურსათო მომარაგებით და აგრეთვე ისარგებლებს წითელ არმიის რიგებში გაწვევის ვადის გაგრძელებით. ჩამოსულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო ბინით.

სწავლა დაიწყება 1944 წლის 1 ოქტომბერს.

ყველა ცნობისათვის მიმართეთ მიმღები კომისიის მდივანს მისამართით: თბილისი, მოლოტოვის რაიონი, ნინოშვილის ქუჩა №13 ტელ. №3-36-68, რკინიგზის ტელეფონი 2-52

ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმის უფროსი **ნიკოლაიშვილი**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 28 ივლისს, დილის 12 საათზე, მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) შესდგება ზოოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები:

1. ზაქარია სიმონის-ძე **ექვთიმიშვილი** თემაზე: **„მასალები კავკასიის სალამანდრის (*Merlensiella caucasica Waga*) შესწავლისათვის"**.

ოფიციალური ოპონენტები: 1) პროფესორი **ვ. ნ. როსტომბეკოვი**, 2) ბიოლოგ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დ. ნ. კობახიძე** 3) ბიოლოგ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი **ა. გ. ჯანაშვილი**.

2. როსტომ თევდორეს-ძე **ელანიძე** თემაზე: **„ბაზალეთის ტბის ბენტოსი და იხტიოფაუნა"**.

ოფიციალური ოპონენტები: 1) მეცნ. დამსახურებული მოღვაწე, მეცნ. დოქტორი, პროფესორი **ლ. პ. კალანდაძე**, 2) ბიოლოგ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი **გ. პ. ბარაჩი**.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. **დირექცია**

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1944 წ. ივლისის 26-ს, დღის 2 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მარის ქ. № 1) **ლ. ვ. ბერლოვსკაია** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Драматургия Фонвизина"**.

ოფიციალური ოპონენტები: მეცნ. დამსახ. მოღვ. პროფ. **ხ. ი. დანელია**, დოცენტი, მეცნ. კანდ. **ა. ჩხეიძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტი აცხადებს, რომ უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის განკარგულების თანახმად 1943 და 1944 წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ფრიადოსნებმაც უნდა ჩააბარონ მისაღები გამოცდები.

პირველი კურსის სტუდენტთა აკადემიური შეღავათი გაუქმებულია. მისაღები გამოცდები მათაც უნდა ჩააბარონ.

ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ურუშაძე.

მეუღლე მარიამი, შვილები პეტრე, ლევან, შალვა, ნათელა, ნუნუ, ძმა, რძლები იუწყებიან **სენეფორ ანტონის-ძე ზამბახიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს რადიოკომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან მარო ვარდანიშვილის დის **მერი ვლადიმერის-ასულ შანიძის** გარდაცვალებას.

შვილი ნიკოლოზ, შვილიშვილი იზოლდა იუწყებიან **ქსენია დავითის-ასულ ჩხარტიშვილის** გარდაცვალებას.

შვილი ნინო, სიძე ოსიკო, შვილიშვილები შოთა, ლეილა, პუსკუნია სახუაძეები იუწყებიან **დავით ალექსის-ძე ტაბატაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე აკაკი ემელიანეს-ძე, შვილები ემზარი, ჯემალ, თენგიზ იუწყებიან **მერი (მილიცა) ვლადიმერის-ასულ შანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 18/VII, 6 ს. ფასანაურის შეს. 10.

რედაქციის მისამართი თბილისი: ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-88, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-78-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 94,800

უე 00311